პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 285 (9445) | ოთხშაბათი, 3 დეკემბერი, 1952 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

სახვითი ხელოვნების შემდგომი აღმავლობისათვის — მოწინავე.

საბჭოთა კავშირში (1-ლი გვერდი).

საბჭოთა ძალაძების აყვავება (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება. ა. თომაძე — გოლო მოვუღოთ კრიტიკისადმი ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას (მე-2 გვერდი).

პროპაგანდისტისა და აგიტატორის დასახმარებლად. გ. ინწკირველი. ლენინ—სტალინის პარტიის პოლიტიკა საბჭოთა ფყოგილების სასიცოცხლო საფუძველია (მე-2 და მე-3 გვერდი).

მოსკოვის ამბები (მე-2 გვერდი).

გ. ყაჯრიშვილი — ტრაქტორების რემონტი ვიანურდება (მე-2 გვერდი).

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. ვ. ჭალიძე — შეძსპირის სონეტების ქართული თარგმანი (მე-3 გვერდი).

კულტურული ცხოვრების ქრონიკა (მე-3 გვერდი).

ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის წინ (მე-3 გვერდი).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის VII სესია (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-3 და 4 გვერდი).

სახვითი ხელოვნების შემდგომი აღმავლობისათვის

 კომუნისტური პარტიის, დიდი სტალინის ყოველდღიური მზრუნველობის შედეგად საბჭოთა სახვითი ხელოვნება სულ უფრო წინ მიდის და ახალ წარმატებებს აღწევს. საბჭოთა ხელისუფლების წლებში გამოავლინეს მთელი თავიანთი შესაძლებლობა და შემოქმედებითი ოსტატობა ძველი თაობის მხატვრებმა, რომელთა ნაწარმოებებში კაფიოდ ჩანს ხალხისა და სოციალისტური სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული, სტალინური ეპოქის სიდიადის ღრმად შეგრძნობა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აღიზარდნენ სახვითი ხელოვნების ახალგაზრდა ნიჭიერი კადრები, რომლებიც თავიანთი შემოქმედებით ასახავენ კომუნიზმის მშენებელ ადამიანთა ცხოვრებას, ქმნიან ჩვენი თანამედროვეობის ყველა მნიშვნელოვან მოვლენათა გამომხატველ ტილოებს. მათს ნამუშევრებში იგრძნობა პროფესიული ოსტატობა, ცხოვრების ცოდნა, ღრმა იდეურობა.

ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების მაღალი დონე, მისი ფართო შესაძლებლობა განსაკუთრებით ნათლად ჩანს მხატვრულ ქმნილებებში, რომლებიც მიეძღვნა დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის თემებს. ამ ციკლში ქართველმა მხატვრებმა შექმნეს მთელი რიგი ნაწარმოებნი, რომლებიც გამოირჩევიან თემისა და მასალის ღრმა ცოდნით, წარმოსახვის გულწრფელობით, შესრულების სიფაქიზით.

საქართველოს მხატვართა აქტივის თათბირზე, რომელიც საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში 1952 წლის აგვისტოში ჩატარდა, ამხანაგმა ა. მგელაძემ ღრმა ანალიზი გაუკეთა ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების მდგომარეობას. „ქართველმა მხატვრებმა, — აღნიშნა ამხ. ა. მგელაძემ, — მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საბჭოთა სახვითი ხელოვნების საგანძურში. მათ მიერ 1937 წელს ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას ინიციატივითა და მუდმივი დახმარებით შექმნილი გამოფენა თემაზე „საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიისათვის“ უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის, არამედ აგრეთვე მთელი საბჭოთა კავშირის კულტურულ ცხოვრებაში...

მაგრამ... ქართველმა მხატვრებმა ვერ შეძლეს განემტკიცებინათ და გაენვითარებინათ თავიანთი ეს დიდი წარმატება... საქართველოს მხატვრები უკვე მრავალი წელიწადია არა ცხოვრობენ სისხლსავსე პროფესიული ცხოვრებით, მუშაობენ შემთხვევიდან შემთხვევამდე, მათს ბევრ ნაწარმოებს სიჩქარე, დაუმთავრებლობა ანშნევია“.

ამავე თათბირზე გამორკვა, რომ საქართველოს მხატვრები მიეცნენ თვითდამშვიდებას, შეამცირეს მომოზოვნელობა თავიანთი თავისადმი — თანდათან ჩამორჩნენ ცხოვრებას. მათი ნამუშევრების დიდი უმრავლესობა, რომლებიც განვლილი წლების რესპუბლიკურ გამოფენებზე იყო ექსპონირებული, დაუმთავრებელი და სქემატურია. ამ ნაწარმოებებში არ ჩანს ცხოვრების ის ღრმა ცოდნა და ის პროფესიული ოსტატობა, რაც დამახასიათებელია საბჭოთა მხატვრებისათვის, არ იგრძნობა კომუნიზმის მშენებელი ადამიანების შრომა და მდიდარი სულიერი ცხოვრება.

მიუხედავად იმისა, რომ ამ თათბირის შემდეგ მუშაობა გაუმჯობესდა, ქართველი მხატვრების, მათ შორის ფერწერის მოწინავე ოსტატების ნამუშევრები კვლავ მათ შემოქმედებითს შესაძლებლობაზე დაბლა დგას, არადამაკმაყოფილებელია პროფესიული ოსტატობის დონე, ბევრი სურათი სუსტად არის დახატული. წარმოდგენილ სურათებს ეტყობა, რომ მხატვრები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ სიუჟეტის დახვეწას, სუსტად მუშაობენ ნატურაზე, როგორც წესი, არ წერენ ეტიუდებს, ისინი ახლოს არ იცნობენ ცხოვრებას. იშვიათად დადიან საწარმოებში, ახალმშენებლობებზე, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. მარტო ის ფაქტი, რომ დღემდე არა გვაქვს არც ერთი თვალსაჩინო ფერწერითი სურათი ახალ თბილისზე, სტალინის სახელობის რუსთაველის მეტალურგიული ქარხნის ადამიანებზე, სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობაზე, სათანადოდ არ არის ასახული საქართველოს საკოლმეურნეო სოფლის მოწინავე ადამიანების ბრძოლა ხორბლის, ყურძნის, ჩაის და სხვა კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის, იმას მეტყველებს, რომ ქართველი მხატვრები ჯერ კიდევ ღრმად ვერ ჩასწვდნენ ჩვენს დიად თანამედროვეობას, ვერ აგნებენ მთავარ თემას.

მხატვართა შორის სუსტად არის გაშლილი კრიტიკა და თვითკრიტიკა. ერთეული შემთხვევა როდია, როცა საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირის ხელმძღვანელი მუშაკები და ხელოვნებათმცოდნეები მაღალ შეფასებას აძლევენ იდეური და მხატვრული ოსტატობის მხრივ გაუმართავ ნამუშევრებს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი შექმნილია სახელმოხვეჭილი მხატვრის მიერ. ეს მავნე პრაქტიკაა. საჭიროა დაბალი ხარისხის ნამუშევარი თავის დროზე და სასტიკად გავაკრიტიკოთ, მიუხედავად იმისა, ვინ შექმნა იგი, დამსახურებულმა თუ ნაკლებად ცნობილმა ავტორმა.

კრიტიკისათვის თავის არიდებით უნდა აიხსნას ის ფაქტიც, რომ წამყვანი მხატვრების ერთი ნაწილი გაურბის ინდივიდუალური გამოფენის მოწყობას. საერთოდ საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირი სათანადო ყურადღებას არ აქცევს ჯგუფურ, თემატურ და ინდივიდუალურ გამოფენებს. სუსტად მუშაობენ სექციები, პრაქტიკაში დანერგილი არ არის ცალკეულ მხატვართა შემოქმედების საჯარო განხილვა.

ქართველი საბჭოთა მხატვრების ნამუშევართა კრიტიკული შეფასება ნაკლებად ჩანს გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნების“ ფურცლებზე. კერძოდ, გასული წლების რესპუბლიკური გამოფენების შესახებ გაზეთში საფუძვლიანი კრიტიკული სტატია არ გამოქვეყნებულა, მიუხედავად იმისა, რომ გამოფენები უაღრესად დაბალ იდეურ და მხატვრულ დონეზე იდგა. საქართველოს საბჭოთა მხატვრების ნამუშევართა საფუძვლიანი განხილვით დაინტერესებული არ არიან ჟურნალები „მნათობი“ და „დროშა“.

ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარების საქმეში დიდი მოვალეობა აკისრიათ რესპუბლიკურ გაზეთებს. მხატვრების ყოველ ახალ მნიშვნელოვან ნამუშევარს გაზეთმა ღირსეული შეფასება უნდა მისცეს. თვითკრიტიკის წესით უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ საგრძნობი ჩამორჩენა გვაქვს. საჭიროა რედაქციებმა შემოიკრიბონ მხატვრები, ხელოვნებათმცოდნეები, დაუახლოვდნენ სახვითი ხელოვნების მუშაკებს, არსებითად გაეცნონ მათს ნამუშევრებს და სისტემატურად ბეჭდონ მასალები სახვითი ხელოვნების ოსტატთა შემოქმედებაზე, ახალგაზრდა კადრების ზრდა-გამოვლინებაზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობაზე ამხანაგმა გ. მალენკოვმა აღნიშნა: **„ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკების წინაშე მდგომი მაღალი და კეთილშობილი ამოცანა შეიძლება წარმატებით გადავწყვიტოთ მხოლოდ მაშინ, თუ გადამწყვეტ ბრძოლას გავაჩაღებთ ხალტურის წინააღმდეგ ჩვენი მხატვრებისა და ლიტერატორების მუშაობაში, თუ ულმობლად აღმოვფხვრით სიყალბესა და სიდამპლეს ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებში... ჩვენი მწერლების, მხატვრების, კომპოზიტორების, კინემატოგრაფიის მუშაკების ვალია უფრო ღრმად შეისწავლონ საბჭოთა საზოგადოების ცხოვრება, შექმნან ჩვენი დიადი ხალხის შესაფერისი დიდი მხატვრული ნაწარმოებნი“.**

ეჭვი არ არის, საქართველოს საბჭოთა მხატვრები, რომლებსაც ყველა პირობა აქვთ შექმნილი შემოქმედებითი მუშაობის ფართოდ გაშლისათვის, კვლავ ჩადგებიან ჩვენი ქვეყნის მოწინავე მხატვართა რიგებში, რეალისტურად, ოსტატობით ასახავენ საბჭოთა ხალხის მჩქეფარე ცხოვრებას, კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანის მაღალ სულიერ თვისებებს, საბჭოთა ქვეყნის სიდიადესა და უძლეველობას.

ქრონიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის რესპუბლიკური სამინისტრო გარდაიქმნა საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ. (საქდესი).

• • •

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით თელავის მუსიკალურ სკოლას მიეკუთვნა კომპოზიტორ ნიკო სულხანიშვილის სახელი და ამიერიდან ეწოდება „თელავის ნ. სულხანიშვილის სახელობის მუსიკალური სკოლა“. (საქდესი).

საბჭოთა კავშირში

★

პირველხარისხოვანი პროდუქციის გადიდებისათვის



მოსკოვის საექსპერიმენტო მექანიკურმა ქარხანამ დაიწყო ნავთის ჭაბურღილების დასაცემენტებელი ცემენტსარევი მანქანების სერიული გამოშვება. ახალ მანქანას შეუძლია 20 ტონა ცემენტის ხსნარი დაამზადოს 15-20 წუთში. ჭაბურღილებში მზა ხსნარის მიწოდება ხდება სპეციალური ტუმბოს საშუალებით. ახალი მანქანის გამოყენებით მთლიანად მექანიზებულია ჭაბურღილების დაცემენტების პროცესი. სურათზე: ცემენტსარევი მანქანების დატვირთვა რკინიგზის ბაქნებზე. ფოტო კ. ივანოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

საფეიქრო მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილა ლენინის სახელობის ობუხოვის წმინდა მაუდის ფაბრიკის (მოსკოვის ოლქი) სტახანოველი მჭსოველის ნ. ამელჩენკოვას თაოსნობა. ნ. ამელჩენკოვამ წინადადება შეიტანა დაიწყოს სოციალისტური შეჯიბრება პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის.

ამხ. ამელჩენკოვამ ილაპარაკა თავის მუშაობის მეთოდებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მხოლოდ საუკეთესო ხარისხის ქსოვილის გამოშვებას.

სტახანოველი ქალის ინიციატივას მხარი დაუჭირა საწარმოს კოლექტივმა. ობუხოვოს ფაბრიკის დირექტორმა ამხ. ხოდოროვმა განაცხადა, რომ მათ ახლა ჰყავთ 68 საუკეთესო ხარისხის პროდუქციის ბრიგადა. მესამე კვარტალში ფაბრიკის კოლექტივის მიერ გამოშვებული მთელი პროდუქციის 99,9 პროცენტი პირველი ხარისხისა იყო.

სხდომაზე ილაპარაკა სტალინური პრემიის ლაურეატმა ა. ს. ჩუტკიხმა, რომელიც მხურვალედ მიესალმა სტახანოველ ამელჩენკოვას თაოსნობას და ურჩია ფეიქრებს იბრძოლონ არა მარტო პირველხარისხოვანი ტილოს გამოშვების გადიდებისათვის, არამედ ქსოვილის მოხატულობისა და გაფერადების გაუმჯობესებისათვის.

პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა აღნიშნა სტახანოველ ამელჩენკოვას თაოსნობის დიდი ღირებულება და საჭიროდ ცნო მისი ფართოდ გავრცელება საფეიქრო მრეწველობის ყველა საწარმოში. (საკდესი).

მოწინავე კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების სწავლება

მოსკოვის კ. ა. ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიასთან, ყუბანის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან, ვორონეჟის, სარატოვის, ივანოვოს, ნოვოსიბირსკისა და სხვა ქალაქების უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებთან იქმნება მოწინავე კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების კურსები. კურსებზე მიიღებიან კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები, რომლებსაც სულ ცოტა ათი წელი უმუშაავნიათ ამ თანამდებობაზე.

იმათ, ვინც წარმატებით დამთავრებს კურსებს და ჩაბარებს სახელმწიფო გამოცდებს, მიენიჭებათ უმცროსი აგრონომის წოდება. (საკდესი).

ფერადი კინონარკვევი „ირტიშზე“

ალმა-ათა. (საკდესი). მხატვრული და ქრონიკალური ფილმების ადგილობრივმა კინოსტუდიამ გამოუშვა დოკუმენტალური ფერადი კინონარკვევი „ირტიშზე“. ამ სურათში ნაჩვენებია სანაპირო კოლმეურნეობათა ცხოვრება, უსტ-კამენოგორსკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, სემიპალატინსკისა და ომსკის ხედები.

„ირტიშზე“ მეოთხე დოკუმენტალური კინონარკვევია, რომელიც ალმა-ატის კინოსტუდიამ წელს გამოუშვა.

★

ნ. გ. ჩერნიშევსკის ბრინჯაოს ქანდაკება

მოსკოვს ახლო მიტიშჩის სკულპტურულ-სამხატვრო ფაბრიკაში დამთავრდა დიდი რუსი მწერლის — რევოლუციონერი დემოკრატის ნ. გ. ჩერნიშევსკის მონუმენტური ბრინჯაოს ქანდაკების ჩამოსხმა. ქანდაკების სიმაღლეა 4,5 მეტრი. იგი ჩამოსხმულია ცნობილი მოქანდაკის, სტალინური პრემიის ლაურეატის ა. პ. კიბალნიკოვის პროექტით.

ბრინჯაოს ქანდაკება გაპრიალებული გრანიტის მაღალ პოსტამენტზე დადგმება ნიკოლოზ გაბრიელის-ძე ჩერნიშევსკის სამშობლოში — ქალაქ სარატოვში მწერლის დაბადების 125 წლისთავზე — 1953 წლის ივლისში.

(საკდესი).

ნ. ა. რიმსკი-კორსაკოვის ძეგლის გახსნა

ლენინგრადი, 1 დეკემბერი. (საკდესი). ათასობით ლენინგრადელი შეიკრიბა გუშინ თეატრალურ მოედანზე, რათა დასწრებოდა გამოჩენილი რუსი კომპოზიტორის ნ. ა. რიმსკი-კორსაკოვის ძეგლის საზეიმო გახსნას.

მიტინგი გახსნა ლენინგრადის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ პ. ფ. ლადანოვმა. მიტინგზე გამოვიდნენ ლენინგრადის ნ. ა. რიმსკი-კორსაკოვის სახელობის კონსერვატორიის დირექტორი, რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი ი. ბრიუშკოვი, კომპოზიტორი ვ. პ. სოლოვიოვ-სედოი, სტახანოველი პ. ვ. პიპირინი და სხვები. საბჭოთა კომპოზიტორების კავშირის სამდივნოს სახელით სიტყვა წარმოთქვა სტალინური პრემიის ლაურეატმა ი. ა. შაპორინმა.

ძეგლი შესრულებულია მოქანდაკეების, სტალინური პრემიის ლაურეატების ვ. ი. ბოგოლიუბოვისა და ვ. ი. ინგალის მიერ. კომპოზიტორი გამოსახულია მჯდომარე, ხელში უჭირავს გაშლილი პარტიტურა. გრანიტის კვარცხლბეკზეა წარწერა: „ნიკოლოზ ანდრიას-ძე რიმსკი-კორსაკოვს. 1844-1908“.

ძეგლი დადგმულია სკვერში ლენინგრადის კონსერვატორიის გვერდით, რომელიც რიმსკი-კორსაკოვის სახელს ატარებს.

ერევნის კინოსტუდიაში

ერევანი. (საქდესის კორ.). ერევნის მხატვრული და ქრონიკალური ფილმების კინოსტუდიამ გამოუშვა სომხური ვარიანტი თბილისის კინოსტუდიის ნაწარმოებისა „მწვერვალთა დამპყრობნი“.

მომდინარე წლის დამდეგიდან აქ დუბლირებულია საბჭოთა კავშირისა და სახალხო-დემოკრატიის ქვეყნების 14 მხატვრული და დოკუმენტალური ფილმი და სურათი, აგრეთვე 50-მდე სპეციალური სასოფლო-სამეურნეო მოკლემეტრაჟიანი ფილმი, კინონარკვევი და კინოჟურნალი.

ჩარხები კომუნიზმის მშენებლობათათვის

ხარკოვი. (საკდესი). მოლოტოვის სახელობის დაზგათმშენებელმა ქარხანამ საპატიო დაკვეთა მიიღო. კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებისათვის მას უნდა დაამზადებინა მძლავრი მრგვალი სახეხი ჩარხი.

სპეციალისტთა ჯგუფმა წამყვანი კონსტრუქტორის, სტალინური პრემიის ლაურეატის ა. ა. შერიშევის ხელმძღვანელობით მოკლე ვადაში დაამთავრა დაპროექტება ჩარხისა, რომელიც კომპაქტურობით გამოირჩევა და მოხერხებულია საექსპლოატაციოდ. მისი დეტალების დამუშავებისას სტახანოველებმა გამოიყენეს მაღალი წარმადობის სადარჯვები და ინსტრუმენტები. მექანიკურ-საამწყობო საამქროში აგრეგატ ტექნოლოგიური ციკლით გათვალისწინებული 42 საათის ნაცვლად აწყეს 16 საათში და ვადაზე ერთი თვით ადრე გაუგზავნეს ვოლგის მშენებლობას.

წელს მაღალი წარმადობის ათობით ჩარხი გაეგზავნათ სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურის, კახოვკის ჰიდროკვანძისა და თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლებს. კომუნიზმის სტალინურ მშენებლობათა ყველა დაკვეთა ვადამდე შესრულდა.

ამჟამად ქარხანამ მიიღო ახალი დაკვეთა: კახოვკის ჰიდროელექტროსადგურისათვის დაამზადოს ჩარხების კიდევ ერთი პარტია. საამქროებში ჩაღდება შეჯიბრება საპატიო დაკვეთის ვადამდე შესრულებისათვის. მექანიკურ საამქროში გრაფიკით გათვალისწინებულზე ადრე დამთავრდა ახალი ჩარხების დეტალების პირველი პარტიის დამუშავება.

ჩაის წარმოების მექანიზაცია

საქართველოს, აზერბაიჯანისა და კრასნოდარის მხარის ჩაის ფაბრიკებში მთავრდება ხარისხოვანი ჩაის ფოთლის გადამუშავება. მშრალი ჩაის უკანასკნელი პარტიები იგზავნება ჩაის საწონ ფაბრიკებში.

„გლავჩაის“ მთავარი ინჟინერმა ამხ. ნ. ი. როინიშვილმა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

— ახლა ჩაის მრეწველობის საწარმოებში მიმდინარეობს მუშაობა ტექნოლოგიური პროცესებისა და წარმოების მექანიზაციის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. 1953 წლის სეზონში დამთავრდება შავი ბაიხაო ჩაის წარმოების პროცესების ბიოქიმიური კონტროლის მეთოდის დანერგვა. გადაწყვეტილია ჩაის ფოთლის საღნობად დაინერგოს ახალი აგრეგატი. მისი გამოყენება მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს. შემუშავებულია მწვანე ბაიხაო ჩაის წარმოების ახალი ტექნოლოგიური სქემა გადამუშავების ყველა პროცესის სრული მექანიზაციით. ჩაისსაწონ ფაბრიკებში იდგმება ახალი საფუთავი ავტომატები. ყველაფერი ეს ხელს უწყობს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

ან უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში შრომის ნაყოფიერება ჩაის ფაბრიკებში 10 პროცენტით გადიდდა. წელს საექსპლოატაციოდ გადაცემულია შვიდი ახალი ფაბრიკა. (საკდესი).

იქ. სადაც სტალინგრადის წყალსაცავი იქნება

სტალინგრადი, 2 დეკემბერი. (საკდესი). უზარმაზარ ფართობს დაიკავებს სტალინგრადის წყალსაცავი. წყალით დასაფარავ ზონაში შექმნილია სამშენებლო ორგანიზაცია — „სტალინგრადსპეცლესზაგი“. მის მუშაკებს ამოცანად დაუსახეს გაწმინდონ ტყისაგან ვოლგის კუნძულები, გამოზიდონ და დააცურონ 1.600 ათასი კუბური მეტრი მერქანი. შექმნილია რამდენიმე სატყეო-სამრეწველო მეურნეობა. 20 ხე-ტყის დამამზადებელ უბანში გაშენდა ტყის მჭრელთა ელექტროფიცირებული დაბები, საწარმოო-ტექნიკური ბაზები, რომლებიც აღჭურვილია მძლავრი ტექნიკით.

საბჭოთა ქალაქების აყვავება

საუბარი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ქალაქების დაგეგმვის განყოფილების უფროსთან ამხ. ბ. ე. სვეტლიჩნისთან

○

ჩვენს ქვეყანაში ამჟამად ორჯერ და კიდევ უფრო მეტი ქალაქია, ვიდრე რევოლუციამდელ რუსეთში იყო. სტალინური ხუთწლედების წლებში გაშენდა ისეთი დიდი სამრეწველო ცენტრები, როგორიც არიან სტალინსკი, მაგნიტოგორსკი, კემეროვო, სტალინო, ყარაგანდა, ამურის კომსომოლსკი, პროკოპიევსკი, ელექტროსტალი და მრავალი სხვა.

საბჭოთა ქალაქმშენებლობის განვითარებაში უდიდესი როლი შეასრულა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის ივნისის პლენუმის ისტორიულმა გადაწყვეტილებამ და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1935 წლის 10 ივლისის დადგენილებამ „ქალაქ მოსკოვის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის შესახებ“. ამხანაგ ი. ბ. სტალინის უშუალო მონაწილეობით შემუშავებული პრინციპები, რომლებიც საფუძვლად დაედო მოსკოვის რეკონსტრუქციას, მის კეთილმოწყობას, დაგეგმვასა და არქიტექტურას, ნიშნეა იყო საბჭოთა კავშირის მრავალი ქალაქის გარდაქმნისათვის.

მოსკოვის მაგალითისამებრ ხორციელდებოდა თბილისის, ერევნის, ბაკოს, ტაშკენტის, ალმა-ატის, ხარკოვისა და სხვა ქალაქების რეკონსტრუქცია. სრულიად იცვალეს სახე გორკემ, სვერდლოვსკმა, ჩელიაბინსკმა, ნოვოროსიისკმა, კუიბიშევმა. ეს ძველი ქალაქები მოკლე ხნის მანძილზე გადაიქცნენ საბჭოთა სახელმწიფოს დიდ ინდუსტრიულ და სამეცნიერო-კულტურულ ცენტრებად.

„ბურჟუაზიული ქვეყნების დიდი ქალაქების აუცილებელი ნიშანია ჯურღმულები, ეგრეთწოდებული მუშათა უბნები ქალაქის განაპირა ადგილებში, რომლებიც წარმოადგენენ ბნელ, ნესტიან, ნახევრადდანგრეულ, მეტწილად სარდაფებში მოთავსებულ სადგომთა გროვას, სადაც ჩვეულებრივ შეკუნშულია ღარიბი ხალხი, სადაც ისინი ფუთფუთობენ სიბინძურეში და წყევლიან თავის ბედს“, — ამბობდა ამხანაგი სტალინი პარტიის XVII ყრილობაზე.

ჩვენი სოციალისტური ქალაქების მუდმივი ნიშანია კეთილმოწყობილი და გამწვანებული საცხოვრებელი უბნები, მრავალსართულიანი საზოგადოებრივი შენობები, ბაღები და პარკები, სკვერები და ბულვარები. ქალაქთმშენებლობის ისტორიაში პირველად არის, რომ საბჭოთა ქალაქების ქუჩებსა და მოედნებზე გაჩნდნენ ახალი ტიპის შენობები — კულტურის სახახლეები, კლუბები, სახავშვო ბაღები და ბაგები. კაპიტალისტური ქვეყნების არც ერთ ქალაქში არ არის მშრომელთა ფართო მასებისათვის განკუთვნილი ასეთი საუცხოო შენობები.

ომისშემდგომ წლებში ქალაქებსა და მუშათა დაბებში აშენდა საცხოვრებელი სახლები, რომელთა საერთო ფართობი 155 მილიონ კვადრატულ მეტრს აღემატება. უდიდესი სამუშაოები შესრულდა ჰიტლერელი დამპყრობლების მიერ დანგრეული ქალაქების აღსადგენად. ნანგრევებიდან და ფერფლიდან აღდგნენ სმოლენსკი, ნოვგოროდი, ფსკოვი, ვორონეჟი, დონის როსტოვი, კრასნოდარი და რუსეთის სხვა ქალაქები. აქ აიგო ათასობით ახალი საცხოვრებელი სახლი და საზოგადოებრივი შენობა, აღდგენილი და რესტავრირებული არქიტექტურის მრავალი ძეგლი.

ბევრ ქალაქში ახლა მთავარ მაგისტრალებსა და ცენტრალურ მოედნებზე ქმნიან ანსამბლებს, დიდ მუშაობას ეწევიან ახალი ბაღებისა და პარკების გასაშენებლად, ქუჩების გასამწვანებლად.

კომუნისტური პარტიის XIX ყრილობამ დასახა ქალაქების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის კიდევ უფრო გრანდიოზული პროგრამა. მეხუთე ხუთწლედში ქალაქებსა და მუშათა დაბებში სახელმწიფო ააგებს საცხოვრებელ სახლებს, რომელთა საერთო ფართობი 105 მილიონამდე კვადრატულ მეტრს შეადგენს. ამ სამუშაოთა უზარმაზარი მოცულობა რომ წარმოვიდგინოთ, საკმარისია ითქვას, რომ შენობათა რაოდენობის მხრივ იგი უდრის დაახლოებით ას ახალ ქალაქს, ნავარაუდევს ას-ასი ათასი მცხოვრებისათვის. გარდა ამისა, ქალაქების მოედნებსა და მაგისტრალებს დაამშვენებს ათასობით ახალი საზოგადოებრივი შენობა—სკოლა, ინსტიტუტი, კინოთეატრი, საავადმყოფო, სახავშვო ბაღი და ბაგა.

მეხუთე ხუთწლედში ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში გაჩნდება ბევრი ახალი ქალაქი და მუშათა დაბა. ქალაქები და მუშათა დაბები გაშენდება კომუნიზმის დიდ მშენებლობათა—სტალინგრადისა და კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურთა რაიონებში, ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის, აგრეთვე თურქმენეთის მთავარი არხის მომავალი ტრასის გაყოლებით. ბევრი მათგანი უკვე შენდება.

მასობრივ სახიანო მშენებლობაში ამ ბოლო დროს დიდი გაქანება მიეცა ტიპობრივ დაპროექტებას. მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში ახლა ტიპობრივი პროექტებით შენდება საცხოვრებელი სახლების 80 პროცენტზე მეტი. ტიპობრივი დაპროექტების მეოხებით ენიშვნელოვნად გაუმჯობესდა ახალშენებათა არქიტექტურული ხარისხი, უფრო ფართოდ იყენებენ მშენებლობის ნაკადურ-ჩქაროსნულ მეთოდებს.

ქალაქების მშენებლობა და რეკონსტრუქცია წარმოებს წინასწარ შემუშავებული პროექტებით, რომლებშიც გათვალისწინებულია თანამედროვე კეთილმოწყობის ყველა სახეობა—წყალმომარაგება, კანალიზაცია, გაზიფიკაცია, ელექტროფიკაცია, გამწვანება.

საბჭოთა არქიტექტორებმა, რომლებიც ითვისებენ კლასიკური ხუროთმოძღვრების საუკეთესო ტრადიციებს და აუმჯობესებენ თავიანთ ოსტატობას, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ახალი ქალაქებისა და მუშათა დაბების დაგეგმვისა და გაშენების საკითხებში. მეტროს სადგურები მოსკოვში, ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონი ლენინგრადში, არქიტექტურული ანსამბლები კიევსა და მინსკში ხელოვნების ნამდვილი ნაწარმოებებია. საბჭოთა არქიტექტურის დიდი მიღწევაა მაღალი შენობები, რომლებიც დედაქალაქში შენდება. ამ დიდებულ სახლებში განსახიერებულია საბჭოთა ქალაქთმშენებლების მაღალი ოსტატობა. (საკდესი).

პარტიული ცხოვრება

ბოლო მოვუღოთ კრიჭიკისადმი ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას

წინათ დუშეთის მტს-ის კოლექტივი წარმატებით ასრულებდა დაკისრებულ ამოცანას, მაგრამ მიღწევებმა მტს-ის ხელმძღვანელობაში წარმოშვა თვითკმაყოფილებისა და საკუთარი ნაკლოვანებებისადმი არაკრიტიკული დამოკიდებულების განწყობილება. ამან გავლენა მოახდინა მტს-ის საქმიანობაზე. მართალია, დუშეთელ მექანიზატორებს ახლაც აქვთ ერთგვარი წარმატებანი მუშაობაში, მაგრამ მიღწევები გაცილებით უფრო მეტი იქნებოდა, მტს-ის დირექტორი ამხ. ა. მანუკოვი გულისხმიერად რომ ეკიდებოდეს კომუნისტებისა და უპარტიო მუშაკების კრიტიკულ შენიშვნებს, მონდომებით რომ იბრძოდეს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამხ. ა. მანუკოვი ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას იჩენს პრინციპული კრიტიკისადმი. ა. მანუკოვი, როგორც პარტიის დუშეთის რაიკომის ბიუროს წევრი, რაიონული კომიტეტის პლენუმებზე და პარტიული აქტივის კრებებზე არაერთხელ გამოსულა თვითკრიტიკისა და ქვემოდან კრიტიკის გაჩაღების აუცილებლობის შესახებ, მაგრამ საქმით კი სრულიად საწინააღმდეგო პოზიციაზე დგას.

მოვიყვანოთ ფაქტები.

მიმდინარე წლის თებერვალში მტს-ის პარტიული ორგანიზაციის კრებაზე კომუნისტებმა გააკრიტიკეს დირექციის მუშაობა. აღნიშნეს, რომ მტს-ის ხელმძღვანელობა ყურადღებას არ აქცევს იარაღ-მანქანების სრული დატვირთვით გამოყენების საქმეს. სატრაქტორო ბრიგადებში ადგილი აქვს სახელმწიფო და საკოლმეურნეო ქონების განიავების შემთხვევებს, ზოგიერთი ტრაქტორისტი მტს-იდან მიღებულ საწვავს ჰყიდის და სხვ.

ამავე კრებაზე პარტბიუროს მდივანმა, მტს-ის უფროსმა აგრონომმა ამხ. ა. ივანაძეს აღნიშნა, რომ დირექცია არავითარ კონტროლს არ უწევს „ნეფტებაზის“ გამგეს ს. ფიცხელაურს. ამ უკანასკნელს დააკლდა 4 ტონა बენზინი, მაგრამ მის მიმართ ზომები არავის მიუღია. „ნეფტებაზას“ არა ჰყავს მეკუჭნავე, რის გამო სატრაქტორო ბრიგადებიდან საწვავის მისაღებად მოსულ მექანიზატორებს მთელი დღეობით უხდებათ ცდა ს. ფიცხელაურის მოლოდინში. შემჩნეულია, რომ ბაზიდან კერძო პირებზე იყიდება საწვავი. ამას გარდა ბაზაში ინახება ზოგიერთი რაიონული ორგანიზაციის बेनზინი, რაც კანონით დაუშვებელია.

კრების დადგენილებაში ნათქვამია: „დაევალოს მტს-ის დირექციას და პარტბიუროს: განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სახელმწიფო და საკოლმეურნეო ქონების დაცვას, გამოავლინონ და სასამართლო პასუხისგებაში მისცენ ის პირები, ვინც ფლანგავს და დაუდევრად ეპყრობა სოციალისტურ ქონებას, პირველ მარტამდე გამონახონ „ნეფტებაზის“ მეკუჭნავედ პატიოსანი და საქმის მცოდნე პიროვნება. გააძლიერონ ბრიგადებსა და „ნეფტებაზაში“ საწვავის ხარჯვის კონტროლი, ბრიგადირებს, ტრაქტორისტებსა და აღმრიცხველებს ჩაუტარონ ერთდღიანი სემინარი, სადაც საფუძვლიანად განუმარტონ სხვადასხვა სახის საწვავის ხარჯვის ნორმები, შეამოწმონ 4 ტონამდე बेनზინის გადახარჯვის მიზეზი, აანალიზაურებინონ და სამართალში მისცენ დამნაშავენი...“

კრებაზე გამოსულმა ა. მანუკოვმა კომუნისტების კრიტიკული შენიშვნები მიიღო, მაგრამ მხოლოდ სიტყვით. საქმით კი მას არაფერი არ გაუკეთებია მხილებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის. კომუნისტებმა შემდეგშიც რამდენჯერმე გააკრიტიკეს „გულმავიწყი“ დირექტორი, მაგრამ უშედეგოდ. ა. მანუკოვმა კრიტიკა ამჯერადაც „მიიღო“, მდგომარეობა კი უცვლელი დარჩა.

დამახასიათებელია 4 ივლისს ჩატარებული პარტიული კრება, რომელსაც ორმოცზე მეტი კომუნისტი დაესწრო. დირექტორის მოადგილემ პოლიტიკურ ნაწილში ამხ. ნ. ხეთაგურმა, პარტბიუროს მდივანმა ამხ. ა. ივანაძემ, მჭედელმა ამხ. ა. ბრაჭულმა, სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირმა ამხ. ი. თინიაშვილმა და სხვებმა მკაცრად გააკრიტიკეს დირექცია. სხვათა შორის კრებაზე კვლავ ითქვა „ნეფტებაზაში“ შექმნილი მდგომარეობის შესახებ. ლაპარაკი იყო უკვალოდ დაკარგულ 4 ტონა საწვავზე, ბაზაში მეკუჭნავის დანიშვნის საჭიროებაზე. მას შემდეგ ნახევარ წელიწადზე მეტი გავიდა, მაგრამ საქმე ადგილიდან არ დაძრულა.

კრიტიკისადმი ფორმალურმა, ბიუროკრატიულმა დამოკიდებულებამ ის გამოიწვია, რომ მტს-ის დირექტორი ყოველნაირად ცდილობს გვერდი აუხვიოს პარტიულ ორგანიზაციას. არის შემთხვევები, როცა ა. მანუკოვი პარტიულ კრებებს ან სულ არ ესწრება, ანდა კრებიდან მიდის და კაბინეტში იკეტება.

თავის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XIX ყრილობაზე ამხ. გ. მ. მალენკოვმა თქვა: „ცოტა როდია ისეთი მუშაკი, რომელიც ივიწყებს, რომ მის მზრუნველობასა და ხელმძღვანელობაში მყოფი საწარმო სახელმწიფო საწარმოა, და ცდილობს გადააქციოს იგი საკუთარ სამფლობელოდ, სადაც ასეთი, უკაცრავად პასუხია, ხელმძღვანელი ყველაფერს აკეთებს, რასაც მისი „მარცხენა ფეხი მოისურვებს“.

სწორედ ასეთი თავგასული ხელმძღვანელის როლში გამოდის ამხ. მანუკოვი.

საკითხავია: განა დაკარგული საწვავის ამბის გაგება და მეკუჭნავის დანიშვნა დიდ სიძნელეს წარმოადგენს? საქმე ის არის, რომ ა. მანუკოვს კარგი მეგობრული დამოკიდებულება აქვს ბაზის გამგე ს. ფიცხელაურთან და ეს უკანასკნელი ვერ გაბედავს. მეკუჭნავის დანიშვნა, ცხადია, ხელს შეუშლიდა ს. ფიცხელაურს საწვავის განიავებაში.

იმათ, ვინც კრიტიკას ეწევა, ა. მანუკოვი ერთი შეხედვით ცუდად როდი ექცევა. მაგრამ სამაგიეროდ იგი ცდილობს ასეთი „აბეზარი“ ადამიანები წყნარად, მშვიდობიანად მოიშოროს თავიდან. მტს-ის მუშაკები გაკვირვებულნი დარჩნენ, როცა „ამას წინათ დირექტორის ბრძანება წაიკითხეს. ამ ბრძანებით სამუშაოდან განთავისუფლებული და დაქვეითებული მტს-ის უფროსი აგრონომი ამხ. ა. ივანიაძე, რომელმაც თავისი კრიტიკული გამოსვლებით „თავი მოაბეზრა“ დირექტორს. სრულიად არავითარი მიზეზი არ არსებობს ამხ. ივანიაძის განთავისუფლებისათვის, მას მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს და პრინციპული მუშაკია.

დირექტორის იმავე ბრძანებით მტს-ის უფროს აგრონომად დაინიშნა ამხ. გ. თანიაშვილი, რომელიც რამდენიმე დღის წინათ რაიკომის ბიურომ გაათავისუფლა რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის მოვალეობისაგან ვითომდა „ავადმყოფობის“ გამო. დუშეთში კარგად იცან, რომ გ. თანიაშვილი სიხამდვილეში გაათავისუფლეს როგორც სუსტი მუშაკი.

რატომ დასჭირდა მანუკოვს გ. თანიაშვილი? იმიტომ, რომ თანიაშვილი დამყოლი და სუსტი მუშაკია, ხოლო იმისათვის, რომ დირექტორმა თავისუფლად „იმოღვაწეოს“, სწორედ ასეთი ადამიანია საჭირო.

იცან თუ არა პარტიის დუშეთის რაიკომში მტს-ში შექმნილი მდგომარეობა? რა თქმა უნდა იცან. რით გამოიხატება რაიკომის მხრივ იმ ამხანაგებისადმი მხარდაჭერა, რომლებიც ამხ. მანუკოვს პრინციპულად აკრიტიკებდნენ? არაფრით. და სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ მტს-ში კრიტიკას ბიუროკრატიულად ეპყრობიან და კრიტიკისათვის ადამიანებს სჯიან. პარტიის რაიონულმა კომიტეტმა სერიოზულად უნდა შეისწავლოს მტს-ში შექმნილი მდგომარეობა და მკაცრად დასაჯოს ისინი, ვინც ქვემოდან კრიტიკას ახშობს.

ა. თოდაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

გაგრა. პარტიის რაიკომის შენობა სტალინის ქუჩაზე.
ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მოსკოვის ამბები

(„კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

დედაქალაქის საბჭოთა აქტივის სწავლება

დედაქალაქში მუშაობს მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საინფორმო-ტექნიკური და ხელმძღვანელი მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლებელი ინსტიტუტი. ინსტიტუტში არის ოთხი ფაკულტეტი, რომლებზეც სამუშაოსაგან მოუწყვეტლივ მეცადინეობს აღმასკომის სამმართველოების, განყოფილებების, ტოვსტების, საწარმოებისა და კანტორების სამი ათასამდე მუშაკი, აგრეთვე დედაქალაქის რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, მათი მოადგილეები, მდივნები, განყოფილებათა გამგეები და ინსტრუქტორები.

ლექციების სპეციალური ციკლი იკითხება საქალაქო საბჭოს დეპუტატებისათვის.

ინსტიტუტის სპეციალურ სამშენებლო ფაკულტეტზე კვალიფიკაციას იმაღლებენ დედაქალაქის სამშენებლო ორგანიზაციების მუშაკები. მომავალი წლის დასაწყისში ინსტიტუტთან გაიხსნება სამშენებლო წარმოების ოსტატთა ექვსთვიანი და სამუშაოთა მწარმოებლებისა და პრაქტიკოსი ოსტატების ერთწლიანი კურსები.

ინსტიტუტის ფილიალებში ამზადებენ მგეგმავებს, ბუხჰალტრებს და მზაზველ-კონსტრუქტორებს.

სპეციალიზებული მაღაზიები

მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით დედაქალაქში სარაიონთაშორისო მერეული სავაჭროების ნაცვლად შექმნილია ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ავეჯისა და სხვა საქონლის დიდი სპეციალიზებული სავაჭრო გაერთიანებანი.

ერთ-ერთი დიდი ასეთი გაერთიანებაა „მოსობოდეედი“, რომელსაც აქვს კაცის, ქალის, ბავშვის ტანსაცმლის, ქუდებისა და თეთრეულის 40-ზე მეტი მაღაზია.

სავაჭრო გაერთიანება „მოსობუვის“ 40-ზე მეტ მაღაზიაში იყიდება სხვადასხვა ფეხსაცმელი. ფართო ასორტიმენტის ქსოვილები იყიდება „მოსტექსტილის“ ათობით მაღაზიაში.

50-მდე მაღაზია აქვს „მოსკულტტორგს“. აქ იყიდება სასპორტო, მუსიკალური ფოტო და რადიოსაქონელი. არის ისეთი სპეციალიზებული მაღაზიები, როგორიც „ავტოკალში“, „ნორჩი ტექნიკოსი“, „პიონერი“, „დროშები, ალმები, სამკერდე ნიშნები“, აგრეთვე სათამაშოების, საკანცელარიო ნივთების და სხვა მაღაზიები.

ასზე მეტი სპეციალიზებული მაღაზია ჰყიდის სამეურნეო საქონელს, ავეჯს და სხვა საქონელს. გაიხსნა ბევრი საგალანტერეო მაღაზია.

ზრაქზორების რემონტი ჭიათურაში

შრომის მოუწესრიგებლობის შედეგად ტრაქტორებისა და მისაბმელი სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების რემონტი ლაგოდეხის რაიონის მტს-ებში ჩამორჩენილია. ლაგოდეხის მტს-ში (დირექტორი პ. ქემოკლიძე, უფროსი მექანიკოსი ჭ. ღლონტი, სახელოსნოს გამგე რ. სეფიაშვილი) მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში 23 ტრაქტორი, 7 კომბაინი და სხვა იარაღ-მანქანები უნდა შეეკეთებინათ, მაგრამ ამ ვადის პირველი ნახევარი ისე გავიდა, რომ მხოლოდ 5 ტრაქტორი შეაკეთეს. მტს-ის დირექციის უყურადღებობის შედეგად კომბაინების რემონტზე სულ არ ფიქრობენ. მეოთხე კვარტალის პირველ ნახევარში სახელოსნო უგრაფიკოდ მუშაობდა. ახლაც გრაფიკი ფორმალურად არის შედგენილი. მაგალითად, „ნატ“-ის მარკის ტრაქტორის რემონტს 15 დღე სჭირდებოდა, მაგრამ გრაფიკში ამ სამუშაოსათვის რატომღაც 32 დღე გაითვალისწინეს. „ნატ“-ის მარკის ორი ტრაქტორის რემონტი მტს-ის ხელმძღვანელებმა ისე დაიწყეს რომ შედგენილი არ ჰქონდათ სადეფექტო უწყისი.

მტს-ში არ დაუკომპლექტებიათ სარემონტო ბრიგადები, რემონტის კვანძური მეთოდით მუშაობას კი, რაც აქ გასულ წლებში დაინერგა, დეკემბრიდან ვარაუდობენ.

უარესი დგომარეობაა ადგილზე ტს-ში (დირექტორი ვ. ბანტაძე). აქ ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების რემონტს აგვიანებენ. მტს-ის სახელოსნო (გამგე ზ. მოდებაძე) მოუწყობელია, არა აქვთ ელექტროენერგია, სახარატო დაზგა, ბინა, რომელშიც შეიძლებოდეს რემონტის დაწყება. თუმცა ასეთი ბინა აქ ორი წლის წინათ ააშენა საქართველოს „სოფლმშენის“ გურჯაანის კანტორამ, მაგრამ იგი უხარისხოდ იყო აგებული და დაინგრა. მტს-ის საამქროებს — მექანიკურს, სამჭედლოს და სამსხმელოს აკლიათ კადრები. ამის გამო ორ ცვლად მუშაობა არ ხერხდება.

ყველაფერი ეს იცის აფენის მტს-თან არსებული პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ამხ. ზ. მოდებაძემ, დირექტორის მოადგილემ პოლიტიკურ ნაწილში ამხ. ვ. ცომაიამ, მაგრამ მათ ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების რემონტის საკითხი მსჯელობის საგნად არ გაუხდიათ.

კომბაინებისა და ტრაქტორების რემონტის დაჩქარებას ისიც უშლის ხელს, რომ მტს-ებს საქართველოს სოფლმომარაგების წნორის განყოფილება და „ავტოტრაქტორსბიტის“ საქართველოს რესპუბლიკური კანტორა სათანადო ნაწილებით არ ამარაგებენ.

გ. ჟაჯრიშვილი,
„კომუნისტის“ ხაკ. კორესპონდენტი.

გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფაში

ბათუმი. (საკ. კორ.). აჭარაში გაჩაღებულია ციტრუსოვანთა ნაყოფის მასობრივი კრეფა. ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა კარგად იცავს ახალი მოსავლის აღებისა და ტრანსპორტირების წესებს. კვირიკის, მახინჯაურის, ახალშენის, ციხისძირის და გონიოს საბჭოთა მეურნეობები, ბათუმის რაიონის კაგანოვიჩის სახელობის, ქობულეთის რაიონის ბერიას სახელობის, მოლოტოვის სახელობისა და ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობები მოსავალს უდანაკარგოდ იღებენ.

კვირიკის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი იბრძვის გეგმის გადამეტებით ორასი ათასი ცალი ნაყოფის მოკრეფისათვის. ბათუმის რაიონის სოფელ ხელვაჩაურის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ შემფუთავ ქარხანას უკვე ჩააბარა მილიონამდე ცალი ნაყოფი. მეციტრუსეებმა პირობა დადეს მოკლე დროში მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 1,5 მილიონი ციტრუსი, რაც 200 ათასი ცალით აღემატება დავალებას. დიდი რაოდენობით აბარებენ ნაყოფს თავიანთ საკომბინატო ნაკვეთიდან ქობულეთის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრები მ. ინაიშვილი, რ. ოქროპირიძე და სხვები. ბათუმის შემფუთავ ქარხანას გონიოელმა კოლმეურნემ გ. შარაძემ ერთ დღეს ხუთას კილოგრამზე მეტი საუკეთესო ხარისხის ნაყოფი ჩააბარა, ხ. აბაშიძემ — 415, ნ. კილაძემ — 402, ბ. დუმბაძემ—285 კილოგრამი.

მიუხედავად ამისა ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფა-დამზადების საქმეში არის სერიოზული ნაკლოვანებანი. კრეფას დაგვიანებით შეუდგნენ და ნელი ტემპით აწარმოებენ ბათუმის რაიონის ტელმანის სახელობის, კიროვის სახელობისა და ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობები. ვხვდებით კრეფის აგროწესების დარღვევას. ქობულეთის პირველ შემფუთავ ქარხანას მასობრივად აბარებენ უმწიფარ და დაუხარისხებელ ნაყოფს მიქოიანისა და კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობები, ცეცხლაურის საბჭოთა მეურნეობა (მთავარი აგრონომი ი. ბურძგლა), ამის შედეგად ქარხანაში ხელოვნური გაყვითლების მოლოდინში დაგროვდა 30 ტონამდე ციტრუსოვანთა ნაყოფი. კრეფის წესებს უხეშად არღვევენ აგრეთვე ბათუმის რაიონის მაღენკოვის სახელობის, ორჯონიკიძის სახელობის, ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობებში და თხილნარის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, რომლებიც ბათუმის შემფუთავ ქარხანას ტონობით აბარებენ მწვანე და დაუხარისხებელ ნაყოფს.

ქობულეთის და ბათუმის რაიონებში არის ნაყოფის ყუნწიანად მოკრეფის ფაქტებიც. ზოგან მოუწესრიგებელია მოსავლის დაცვა. ადგილი აქვს დიდ დანაკარგებს.

ნაკლოვანებები არის შემფუთავი ქარხნების მუშაობაშიც. სეზონისათვის სათანადოდ ვერ მოემზადა ხუცუბნის შემფუთავი ქარხანა. იგი უზრუნველყოფილი არ არის მუშახელით. ასეთივე მდგომარეობაა ზოგიერთ სხვა შემფუთავ ქარხანაშიც. აღნიშნულ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსწორება მეციტრუსეთა გადაუდებელი საქმეა.

მოსახლეობის კინომომსახურების საკითხი პარტიის რაიკომის ბიუროზე

სტალინირი. (საკ. კორ.). პარტიის სტალინირის რაიკომის ბიურომ ამ დღეებში განიხილა რაიონის მოსახლეობის კინომომსახურების საკითხი. უკანასკნელ ხანებში რაიონში შესამჩნევად გაუმჯობესდა მოსახლეობის კინომომსახურება. თუ მთელი გასული, 1951 წლის განმავლობაში რაიონში მოეწყო 218 კინოსეანსი, 1952 წლის 10 თვეში კინოსეანსების რიცხვი 828-მდე გაიზარდა.

ბიუროზე აღინიშნა, რომ ამ საერთო ციფრებს იქით კვლავ იფარება სერიოზული ნაკლოვანებანი. რაიონის ცალკეული სოფლები მოკლებული არიან კინომომსახურებას. დოდოთში, კვერნეთში, კუსრეთში, გერში მიმდინარე წელს არც ერთი კინოსურათი არ უჩვენებიათ. ამ სოფლების კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და პირველადი პარტორგანიზაციის მდივნები უყურადღებოდ ეკიდებიან ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს.

ბიურომ რაიონის მოსახლეობის კინომომსახურების გადაჭრით გაუმჯობესებისათვის დასახა სათანადო ღონისძიებანი.

პროპაგანდისტისა და აგიტატორის დასახმარებლად

ლენინ—სტალინის პარტიის პოლიტიკა საბჭოთა წყობილების სასიცოცხლო საფუძველია

მთელი საბჭოთა ხალხის მძლავრი პატრიოტული აღმავლობის, გაზრდილი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ნიშნით ჩატარდა ლენინ — სტალინის პარტიის XIX ყრილობა. საბჭოთა კავშირის მშრომელებმა მხურვალედ მოიწონეს XIX ყრილობის დირექტივები მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ და პარტიის შეცვლილი წესდება, რომლებიც სახავენ სოციალიზმიდან კომუნიზმისაკენ ჩვენი ქვეყნის განვითარების ახალ პერსპექტივებს.

საბჭოთა ხალხში უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია ამხანაგ სტალინის გამოსვლამ პარტიის XIX ყრილობაზე და მისი გენიალური ნაშრომის — „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ გამოქვეყნებამ. მუშების, გლეხების, საბჭოთა ინტელიგენციის ეს უდიდესი აღფრთოვანება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ლენინ—სტალინის პარტიის საქმე ჩვენს ქვეყანაში მთელი ხალხის საქმეს წარმოადგენს. პარტიის ავტორიტეტი მშრომელი მასების თვალში უაღრესად დიდია. კომუნისტური პარტია საბჭოთა ადამიანებს მიაჩნიათ თავიანთ მშობლიურ პარტიად, ენდობიან მას, როგორც ბელადს, ხელმძღვანელს, ორგანიზატორსა და აღმზრდელს. საბჭოთა ადამიანების ეს უსაზღვრო სიყვარული და ნდობა პარტიამ დაიმსახურა მშრომელთა ინტერესებისადმი თავისი ერთგული სამსახურით, მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა მოპოვების თავისი შესანიშნავი უნარით.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა მშრომელ გლეხობასთან კავშირში 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შედეგად დაამხო კაპიტალისტთა და მემამულეთა ხელისუფლება, შექმნა პროლეტარიატის დიქტატურა, გაანადგურა მჩაგვრელი კლასები, მოსპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია. ლენინ — სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა განამტკიცა თავისი სოციალისტური სახელმწიფო, უზრუნველყო ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის ამენება, მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებას მიაღწია 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში და ომისშემდგომ პერიოდში გადაჭარბებით შეასრულა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმა.

ამჟამად კი, — როგორც ეს ნათქვამია პარტიის ახალ წესდებაში, „...საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთავარი ამოცანები ის არის, რომ აშენოს კომუნისტური საზოგადოება სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზით, განუწყვეტლივ ამაღლოს საზოგადოების მატერიალური და კულტურული დონე, ზარდოს საზოგადოების წევრები ინტერნაციონალიზმისა და ყველა ქვეყნის მშრომელებთან ძმური კავშირის დამყარების სულისკვეთებით, ყოველნაირად განამტკიცოს საბჭოთა სამშობლოს აქტიური თავდაცვა მისი მტრების აგრესიული მოქმედებისაგან“.

კომუნისტური პარტიის ყველა გამარჯვებათა საწინდარი იყო და არის მისი შემქმნელებისა და ბელადების — ლენინისა და სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობა, მისი პოლიტიკის სისწორე.

XIX ყრილობამ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. გ. მ. მალენკოვის საანგარიშო მოხსენების გამო ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ ერთხმად დაადგინა „მოწონებულ იქნას საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი და პრაქტიკული მუშაობა“. ეს რეზოლუცია, მიღებული ერთხმად, გამოხატავს მთელი საბჭოთა ხალხის მიერ პარტიის პოლიტიკის ერთსულოვან მოწონებას.

* * *

პოლიტიკის ნამდვილად მეცნიერული გაგება მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების მიერ არის მოცემული. მათი განსაზღვრით პოლიტიკაში მკაფიო გამოხატულებას პოულობს საზოგადოებაში მებრძოლი კლასების ინტერესები, ამ კლასებს შორის და ყოველი კლასის ცალკეულ ნაწილებს შორის ურთიერთდამოკიდებულება. პოლიტიკა უშუალოდ არის დაკავშირებული კლასების, სახელმწიფოს არსებობასთან. პოლიტიკის სფეროს მიეკუთვნება ძირითადად სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო წყობილების საკითხები, კლასობრივი ბატონობისა და პარტიული ბრძოლის საკითხები.

ვ. ი. ლენინმა გაბატონებული კლასის პოლიტიკა განმარტა, როგორც სხვა კლასებისადმი დამოკიდებულება, როგორც სახელმწიფოს საქმეებში მონაწილეობა, სახელმწიფოს შინაარსის, მოღვაწეობის ფორმებისა და ამოცანების განსაზღვრა.

სოციალისტური სახელმწიფოს არსებობის პირველი დღიდანვე მის პოლიტიკას განსაზღვრავს ამ სახელმწიფოს ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა — ლენინ — სტალინის პარტია, რომელმაც, მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე თეორიით შეიარაღებულმა, უზრუნველყო სრულიად ახალი კლასობრივი ურთიერთობის დამყარება ჩვენს საზოგადოებაში: მუშათა კლასის ბატონობა ბურჟუაზიაზე და მუშათა კლასის მჭიდრო კავშირი მშრომელ გლეხობასთან.

ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკის განუხრელი გატარების შედეგად საბჭოთა სახელმწიფომ, როგორც სოციალიზმის და კომუნიზმის მშენებლობის მთავარმა იარაღმა, დარაზმა ჩვენი ქვეყნის მშრომელები მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის პოლიტიკურ და ეკონომიკურ გამარჯვებათა მოსაპოვებლად. პარტიის პოლიტიკის განხორციელებამ უზრუნველყო მსოფლიოში პირველი სოციალისტური ქვეყნის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების სიმტკიცე და უძლეველობა, სამეურნეო-ორგანიზაციული, კულტურულ-აღმზრდელობითი და ქვეყნის თავდაცვის ამოცანების წარმატებით გადაჭრა, ყოველგვარი წინააღმდეგობის დაძლევა ჩვენი წინსვლის გზაზე. ყოველივე ეს იმის დამადასტურებელია, რომ კომუნისტური პარტიის პოლიტიკა ერთადერთი სწორი და პროგრესული პოლიტიკაა, რადგან იგი აგებულია ერთადერთი ნამდვილად მეცნიერული, ჭეშმარიტად რევოლუციური თეორიის — მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ პოლიტიკა რთული მეცნიერება და ხელოვნებაა, რომელიც ციდან არ ვარდება მზამზარეულად. პროლეტარიატმა, თუ მას სურს ბურჟუაზიის საბოლოო განადგურება, უნდა გამომუშაოს თავისი საკუთარი პოლიტიკა და უნდა ჰყავდეს თავისი პოლიტიკოსები. ისტორიულმა განვითარებამ ცხადყო, რომ ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი და მისი პარტია სრულყოფილად დაეუფლნენ პოლიტიკის რთულ ხელოვნებას, რომ მშრომელთა დიდმა ბელადებმა ლენინმა და სტალინმა მარქსიზმის ძირითადი დებულებები გაზადეს ამ პოლიტიკის მეცნიერულ საფუძვლებად. „...პოლიტიკაში შეცდომა რომ არ დაუშვას, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — პროლეტარიატის პარტია როგორც თავისი პროგრამის აგებაში, ისე თავის პრაქტიკულ მოღვაწეობაში უნდა გამოდიოდეს, უწინარეს ყოვლისა, წარმოების განვითარების კანონებიდან, საზოგადოების ეკონომიკური განვითარების კანონებიდან“, საზოგადოების მატერიალური ცხოვრების, როგორც საზოგადოებრივი განვითარების გადამწყვეტი ძალის, კონკრეტული პირობებიდან, საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების რეალური მოთხოვნილებებიდან.

ჩვენი პარტია, თავისი პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისას ყოველთვის იყო და არის შეიარაღებული საზოგადოების განვითარების კანონების ცოდნით, რაც უზრუნველყოფს მოვლენათა სწორ მეცნიერულ წინასწარხედვას და სწორი გეზის გამომუშავებას. ჩვენი პარტია ყოველთვის წინ იხედება და არა უკან, ორიენტაციას იღებს საზოგადოების ახალ და მზარდ, უძლეველ ძალებზე, რომლებიც ვითარდებიან და რომლებსაც ეკუთვნით მომავალი, უზრუნველყოფს ამ ძალების გაძარჯვებას.

თავის ახალ გენიალურ ნაშრომში — „სოციალიზმის ეკონომიკური პროპლემები სსრ კავშირში“ — ამხანაგმა სტალინმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საზოგადოებრივი განვითარების კანონების ცოდნისა და მათი გამოყენების მნიშვნელობას საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისათვის. კერძოდ, ი. ბ. სტალინმა მოგვცა ეკონომიკური კანონების ხასიათის ანალიზი, მიგვითითა, რომ ეს კანონები ობიექტური კანონებია, რომლებიც ასახავენ ადამიანის ნებისყოფისაგან დამოუკიდებელ ეკონომიკური განვითარების პროცესებს. ადამიანებს შეუძლიათ აღმოაჩინონ ბუნებისა და საზოგადოების კანონები, შეიცნონ, შეისწავლონ ისინი, გაითვალისწინონ, გამოიყენონ თავიანთ მოქმედებაში, — მაგრამ ადამიანებს არ შეუძლიათ შეცვალონ ან გააუქმონ ეს კანონები.

კომუნისტური პარტია, ეყრდნობა რა საზოგადოებრივი განვითარების კანონების მეცნიერულ ცოდნას, იყენებს მათ მუშათა კლასის ინტერესებისათვის, მშრომელთა ინტერესებისათვის. ამხანაგმა სტალინმა აღმოაჩინა სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი. ამ კანონის „...არსებითი მიშნები და მოთხოვნები, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — შეიძლებოდა დაახლოებით შემდეგნაირად ჩამოგვეყალიბებინა: მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და სრულყოფის გზით“ (ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში. გვ. 44). სოციალიზმის ამ ძირითადი ეკონომიკური კანონის ცოდნით შეიარაღებული საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სწორად წარმართავს თავის შემოქმედებითს შრომას და წარმატებით აშენებს კომუნიზმს. კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის დადგენილებით პარტიის ახალ პროგრამას, რომელიც შემუშავებულ უნდა იქნას მომავალი ყრილობისათვის, საფუძვლად დაედება ამხანაგ სტალინის გენიალური თეორიული შრომა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, ვინაიდან ამ შრომაში მოცემული მეცნიერული დებულებები და დასკვნები უშუალოდ დაკავშირებულია კომუნიზმის მშენებლობის მთავარ პრაქტიკულ ამოცანებთან. ამხანაგმა სტალინმა ამ შრომაში გვიჩვენა სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობითი გადასვლის კონკრეტული გზები და საშუალებანი.

კომუნისტური პარტიის პოლიტიკის მეცნიერული საფუძვლების დამახასიათებელ ერთ-ერთ ძირითად დებულებას შეადგენს აგრეთვე მასებთან პარტიის განუყოფელი კავშირის პრინციპი, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის. ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ მასებთან ფართო კავშირის გარეშე, ამ

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

შექსპირის სონეტების ქართული თარგმანი

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ ქართულად გამოსცა შექსპირის სონეტები, თარგმნილი ინგლისურიდან გივი გაჩეჩილაძის მიერ. ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში ეს მნიშვნელოვანი მოვლენაა.

შექსპირის სონეტები მნიშვნელოვანი არიან არა მხოლოდ თავისთავად, როგორც დამოუკიდებელი ლიტერატურული ნაწარმოებნი; ისინი უშუალოდ დაკავშირებული არიან ავტორის მთელ მდიდარ შემოქმედებასთან და ნაწილობრივ შუქს ჰფენენ შექსპირის წყვდიადით მოცულ ბიოგრაფიასაც.

შექსპირის სონეტების წაკითხვის შემდეგ მკითხველი დარწმუნდება, რომ მასშიც ისეთივე პოეტური ცეცხლი, სულიერი მღელვარება და შემოქმედებითი პათოსი იგრძნობა, როგორიც ავტორის ცნობილ ტრაგედიებში. ამითვე ნათელი ხდება, რომ შექსპირის შემოქმედება და ცხოვრება განუყოფელი, მთლიანია, რომ ის დიდი მღელვარება, არსებული უსამართლობით გამოწვეული აღშფოთება და სულიერი ტკივილები, რაც თითქმის ყველა ტრაგედიაში იგრძნობა, თვითონ ავტორის საკუთარი ტკივილებია.

ზოგიერთი სონეტი განწყობილებით ისე უახლოვდება ცნობილი ტრაგედიების მონოლოგებს, რომ უნებურად იფიქრებ, იქნებ ეს მონოლოგების ვარიანტი იყოსო. ხშირია შემთხვევა, რომ ტრაგედიის რომელიმე ბუნდოვან ფრაზას ან შედარებას ნათელსა ჰფენს და გასაგებს ხდის სონეტი. შექსპირის სონეტები თითქოს დღიურებს წარმოადგენენ, რომლებშიც მოცემულია ავტორის პირადი განწყობილება, ვნებათა ღელვა, მისწრაფებანი, შეხედულებანი — ცხოვრებაზე, ხელოვნებაზე; ამიტომაც მთარგმნელს მოეთხოვება შექსპირის მთელი შემოქმედების ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა.

შექსპირის სონეტების მთარგმნელს მრავალგვარი სიძნელის გადალახვა სჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ თვით ფორმა ლექსისა შემზღუდველია, შექსპირი არასოდეს არ ღალატობს თავის სტილსა და მსოფლმხედველობას — მისი ყოველი სონეტი დაწერილია ისეთივე ცოცხალი, ხალხური, ბუნებრივი, რეალისტური ენით, როგორც ტრაგედიები და კომედიები. ეს არასოდეს არ უნდა დავიწყდეს შექსპირის სონეტების მთარგმნელს. არ შეიძლება შექსპირის ლექსის „გატკბილება“ და გამაღალფარდოვნება.

გივი გაჩეჩილაძე გამოცდილი მთარგმნელია. ინგლისური პოეზიის სხვა ღირსშესანიშნავ ნიმუშებთან ერთად მან ჯერ კიდევ ათი წლის წინათ თარგმნა და გამოაქვეყნა შექსპირის რამდენიმე სონეტი. როგორც ეტყობა, მთარგმნელი მას შემდეგ ენერგიულად მუშაობდა შექსპირის სონეტების სრული კრებულის თარგმანზე.

შექსპირის ეპოქისა და ტექსტის საფუძვლიანმა ცოდნამ, მთარგმნელობითმა გამოცდილებამ, პოეტურმა ალღომ, დიდი ხნის გულმოდგინე მუშაობამ და საქმის სიყვარულმა კარგი შედეგი გამოიღო. შეიძლება ითქვას, მთარგმნელმა თავი გაართვა მის წინაშე მდგარ რთულ ამოცანას და კარგად დაძლია ყველა სიძნელე. ტექსტის გაგებაში მთარგმნელს ალღო არ ღალატობს. იგი კარგად ხსნის ბუნდოვან, ორაზროვან სტრიქონებსა და ფრაზებს; იცავს ორიგინალის მელოდიურობის ცვალებადობას. ამასთან თარგმანის ფრაზა რეალისტურია და შეესაბამება ორიგინალის ძარღვიან ენას. გ. გაჩეჩილაძე არ მიდის იოლი გზით—მთელი წიგნი თარგმნილია სრული რითმებით და მთარგმნელი თითქმის არსად არ ღალატობს ამ ძნელ და საპატიო ამოცანას.

ამის საილუსტრაციოდ ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა. მხოლოდ რამდენიმე მაგალითი:

„რვალი, ქვა, მიწა, ოკეანე უსაზღვროდ ფართო
ვერ უძლებს სიკვდილს და თავის ხვედრს მორჩილად მონებს;
ვითღა გაუძლოს სილამაზემ ამ რისხვას მარტომ,
თუ ღონე მისი არ აჭარბებს ყვავილის ღონეს?
როგორ გაუძლოს დროას ალყას ზაფხულის სუნთქვამ,
როცა დროს მოაქვს იერიში დაუნდობელი,
როცა ფოლადის ჭიშკარიც კი არ ჰყოფნის ლუკმად
და არც მაღალი კლდე, მტკიცე და მიუდგომელი“...

ეს სტრიქონები, გარდა იმისა, რომ თავისუფლად იკითხება, კარგად გადმოსცემს აგრეთვე ორიგინალის განწყობილებას, ავტორის ოდნავ ამაღლებულ ტონს,

ან, შემდეგ:

„როცა ვიხილე, ეამი როგორ მცირედ აფასებს
მის ხელში გაძრცვნილ შესამოსელს გარდასული დროთა,
როგორ აოხრებს ზეაღმართულ ციხე-დარბაზებს
და სპობს ბრინჯაოს, ოდესღაც რომ ელვარედ კრთოდა;
. . . . . .
როცა ვიხილე სამეფოთა ბევრი ცვლილება,
და სახელმწიფო გადასული დაღუპვის გზაზე, —
მე ნანგრევებმა მანდვეს მათი გამოცდილება,
მითხრეს, რომ ეამი ჩემს სატრფოსაც წაიყვანს ასე“.

წიგნში გვხვდება ზოგიერთი არაბუნებრივი და უხერხული გამოთქმა. მაგალითად, პირველ სონეტშივე ვკითხულობთ: „სადაც სიმდიდრე ჰყვავის უხვად, იქ **შიმშილს მართავ**“, „**შიმშილს მართავ**“ უხერხული გამოთქმაა და ასუსტებს საერთო შთაბეჭდილებას. „მე არ ვეკუთვნი იმ მეხოტბე **ლექსის მჩაცხველებს**“ (21-ე სონეტი). ესეც გაუმართავი სტრიქონია, არ შეიძლება ითქვას **„ლექსის ჩამცხვა“**. ან „ნუ მეტყვი ქცევა გავამართლო ბოროტი შენი“ — აქ, როგორც ვხედავთ, დარღვეულია სინტაქსი. არის ზოგიერთი სხვა სახის არაბუნებრივი გამოთქმაც, მაგრამ ასეთი ხასიათის შეცდომები არ არის დამახასიათებელი მთელი წიგნისათვის. შემდეგი გამოცემისათვის მთარგმნელს ადვილად შეუძლია მათი გასწორება და გამართვა.

ყველაზე მეტი მკითხველი შექსპირს ჩვენს ქვეყანაში ჰყავს. არსად, კერძოდ მისსავე სამშობლოშიც, ისე ხშირად და ისე დიდი ტირაჟით არ გამოდის შექსპირის ნაწარმოებები, როგორც საბჭოთა ქვეყანაში. არსად ისე ხშირად არ იდგმება შექსპირის უკვდავი პიესები სცენაზე, როგორც ჩვენს ქვეყანაში, და ვერსად ისე კარგად ვერ განასახიერებენ სცენაზე შექსპირის გმირებს, როგორც ჩვენს თეატრებში.

შექსპირის სონეტების გამოცემით სახელმწიფო გამომცემლობამ სასარგებლო საქმე გააკეთა. შექსპირის ქართულ თარგმანებს კიდევ ერთი კარგი წიგნი შეემატა.

ვ. ჯელიძე.

კულტურული ცხოვრების ქრონიკა

სტუდენტთა შემოქმედებითი შეხვედრა

30 ნოემბერს კონსერვატორიის დიდ დარბაზში შედგა თბილისის სამხატვრო აკადემიის, სახელმწიფო კონსერვატორიისა და რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტთა პირველი შემოქმედებითი შეხვედრა.

საღამო გახსნა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა სტალინური პრემიის ლაურეატმა ა. ვასაძემ.

სტუდენტი გამოვიდნენ სტუდენტები ნინო ხატისკაცი (თეატრალური ინსტიტუტი), მიხეილ ქვლივიძე (სამხატვრო აკადემია) და გურამ მელია (კონსერვატორია).

საღამოს მხატვრული ნაწილი გახსნა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტმა თამაზ ქვარიანმა, რომელმაც წაიკითხა ი. ნონეშვილის ლექსი „ახალგაზრდობა“. ამის შემდეგ დამსწრეებმა იმღერეს დემოკრატიული ახალგაზრდობის ჰიმნი.

თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებმა წაიკითხეს ლექსები, აჩვენეს ეკადოვისა და იულენკას სცენა ა. ნ. ოსტროვსკის პიესიდან „შემოსავლიანი ადგილი“, გ. ორბელიანის ლექსის „პასუხი შვილთა“ და ი. ჭავჭავაძის ლექსის „პასუხის პასუხის“ ინსცენირება, შეასრულეს ესპანური, მოლდავური ცეკვები და სხვ.

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ახალგაზრდა მომღერლებმა შეასრულეს რომანსები, არიები ოპერებიდან, სიმღერები.

დიდი დარბაზის მრგვალ ფოიეში მოეწყო სამხატვრო აკადემიის ფერწერისა და ქანდაკების ფაკულტეტების სტუდენტთა საუკეთესო ნამუშევართა გამოფენა.

მსახიობები სიონის წყალსაცავის მშენებლებთან

გრიბოედოვის სახელობის თეატრმა იკისრა შეფობა სიონის წყალსაცავის მშენებლებზე.

ამ დღეებში მშენებლობის ახლადმოწყობილ კლუბში შედგა თეატრის მსახიობთა პირველი შეხვედრა წყალსაცავის მუშებთან. ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება ურთიერთვალდებულებათა შესახებ. ამ დღეს თეატრმა მშენებლებს უჩვენა ა. კორნეიჩუკის პიესა „მაკარ დუბრავა“. მუშებმა სურვილი გამოთქვეს ნახონ თეატრის დადგმები — „ღრმა დაზვერვა“, „ძახელის ჯალ“, „ტროლლები გალობენ“.

ფოთის თეატრი ახალ სეზონში

ფოთი. (ხაკ. კორ.). თავის მეჩვიდმეტე სეზონის რეპერტუარში ლ. ბ. ბერიას სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა (მთავარი რეჟისორი ა. გამსახურდია) შეიტანა სტალინური პრემიის ლაურეატის ალო მოსაშვილის „მისი ვარსკვლავი“, გ. ნახუცრაშვილის „გარდატეხა“, ს. კლდიაშვილის „დაბრუნება“ და სხვა ქართველ ავტორთა ნაწარმოებები.

თეატრში პირველად დაიდგა მ. გორკის „ვასა ჟელეზნოვა“ და ნ. ტრენევის „ლუბოვ ეაროვეია“.

დიდ ინტერესს იწვევს ჩინელი მწერლის ვან ში-ფუს პიესა „დაღვრილი ფიალა“. განხრახულია დაიდგას აგრეთვე ბულგარელი მწერლის ორლინ ვასილევის პიესა „ამქვეყნიური სამთხე“. პიესა ეხება ბულგარელი კომუნისტების ბრძოლას ფაშისტური ოკუპაციის მძიმე წლებში. მაყურებელი გაეცნობა მოძმე აზერბაიჯანელი მწერლის, სტალინური პრემიის ლაურეატის სამედ ვურგუნის დრამას „ამოდის მზე“. პიესაში ნაჩვენებია ამხანაგ სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის ბაქოს პერიოდი.

თეატრის კოლექტივს შეემატნენ ახალი ნიჭიერი ძალები—ვ. გომიაშვილი, ბ. თოფურიძე, მ. გელაშვილი. აქ მუშაობენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები თ. მაკარაშვილი და მ. კანდელაკი.

ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის წინ

უ ნ გ რ ე თ ი

ბუდაპეშტი, 1 დეკემბერი. (საკდესი). უნგრეთის მშრომელნი ემზადებიან ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესისათვის. ამჟამად მთელ უნგრეთში იმართება მასობრივი კრებები, რომლებზეც უნგრეთის მშვიდობის დაცვის ამასწინანდელი მესამე კონგრესის მონაწილენი დამსწრეთ უამბობენ ამ კონგრესის მუშაობასა და გადაწყვეტილებებზე და მშვიდობის მომავალ ვენის კონგრესზე. უნგრეთის მშვიდობის საბჭომ მოკლე ხნის მანძილზე მიიღო 60 ათასამდე წერილი, რომლებშიც კოლექტივები და ცალკეული მშრომელნი, მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენელნი, გამოხატავენ მშვიდობისადმი მისწრაფებას და მრისხანე პროტესტს აცხადებენ ომის გამჩაღებელთა ოინების წინააღმდეგ. ამ წერილებში უნგრეთის მშრომელნი მიესალმებიან ხალხთა მშვიდობის დაცვის მომავალ კონგრესს. მუშები, გლეხები, ინტელიგენციის წარმომადგენლები იღებენ მშვიდობის დაცვისადმი მიძღვნილ შრომითს ვალდებულებებს.

ახალგაზრდობა აქტიურად ემზადება მშვიდობის საერთაშორისო ესტაფეტისათვის, რომელიც 4 დეკემბერს მოვა სოფელ არტანდში უნგრეთის ტერიტორიაზე. ათობით საუკეთესო სპორტსმენი შეხვდება საზღვარზე რუმინელ ახალგაზრდებს, მიიღებს მათგან ესტაფეტს, გაატარებს მთელ უნგრეთში და მიიტანს ავსტრიის საზღვართან.

ა ლ ბ ა ნ ე თ ი

ტირანა, 1 დეკემბერი. (საკდესი). ალბანეთში იმართება ხალხთა მშვიდობის დაცვის მომავალი კონგრესისადმი მიძღვნილი მშრომელთა კრებები.

კონგრესის აღსანიშნავ შეჯიბრებაში ჩაბმულ საწარმოთა კოლექტივები თავდადებული შრომით განამტკიცებენ თავიანთი სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს ძლიერებას, ძვირფასი წვლილი შეაქვთ მშვიდობისათვის ბრძოლის საერთო საქმეში.

შკოდერის ცემენტის ქარხნის, კორჩის 8 ნოემბრის სახელობის შაქრის ქარხნის, ფიერის 1 მაისის სახელობის ბამბის საწმენდი ქარხნის, დურესის გემთსაშენის და სხვა საწარმოთა კოლექტივებმა ნოემბრის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. პატოსის ნავთის სარეწების ზოგიერთი საწარმო, ტირანის ენვერ ხოჯას სახელობის ლითონდამამუშავებელი ქარხანა და სარეწაო კოოპერაციის გაერთიანება უკვე 1953 წლის ანგარიშში მუშაობენ. სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულს კონგრესის აღსანიშნავად მიენიჭება ალბანეთის მშვიდობის დაცვის კომიტეტის წოდელი დროშა.

ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ვენაში გაემგზავრა ალბანელი ხალხის დელეგაცია.

ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი

პარიზი, 1 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთი „ლუმანიტე“ კვლავ აშუქებს ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესისათვის მზადებას საფრანგეთში. გუშინ საფრანგეთის 34 დეპარტამენტში (სენა და უაზა, სენა და მარნა, მერტი და მოზელი, ვარი, ვოკლიუზი და სხვები) მოეწყო დეპარტამენტების მშვიდობის დაცვის სახალხო კრებები. ამ კრებების მონაწილეებმა, რომლებიც მოსახლეობის სულ სხვადასხვა ფენას წარმოადგენენ, აირჩიეს ხალხთა კონგრესის დელეგატები.

შ ვ ე ი ც ი ა

სტოკჰოლმი, 1 დეკემბერი. (საკდესი). შვეციის საზოგადოებრივი ორგანიზაციების რელიგიური, პაციფისტური საზოგადოებებისა და კულტურული წრეების ბევრი წარმომადგენელი ცხარს უჭერს ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესს.

შვეციის მისიონერთა კავშირის წევრმა ელინ იუჰანსონმა დემოკრატიული პრესის ფურცლებზე განაცხადა, რომ იგი სიამოვნებით მიიღებს მონაწილეობას კონგრესის მუშაობაში. „მე მაინტერესებს მშვიდობისათვის მუშაობა, — ამბობს იგი.—მე არც ერთ პარტიას არ ვეკუთვნი, მაგრამ როცა საქმე მშვიდობას ეხება, ყველაფერს გავაკეთებ, რაც კი შემიძლია. მჯერა, რომ ხალხთა კონგრესი ვენაში დადებითს შედეგებს მოგვცემს მშვიდობის სასარგებლოდ“.

„შვეციის ემანციპაციის ქალთა კავშირის“ განყოფილებამ ქალაქ იენჩიპინგში ვენის კონგრესზე თავის დელეგატად აირჩია მარგიტ კარლსონი. „იმედი მაქვს, — აცხადებს იგი, — რომ ვენის კონგრესი განიხილავს იაეთ დიდწინაშვნელოვან პრობლემას, როგორიც კორეის საკითხია, და ყველაფერს გააკეთებს, რაც კი შესაძლებელია, რათა კორეელმა ხალხმა, ბოლოს და ბოლოს, მიიღოს მშვიდობა“.

რკინიგზის მოსამსახურემ კარლ ბუმანმა მონაწილეობა მიიღო ჩრდილოეთ ქვეყნების მუშათა მშვიდობის დაცვის ოსლოს კონფერენციის მუშაობაში და იქ არჩეულ იქნა დელეგატად ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესზე. ბუმანი იმედოვნებს, რომ კონგრესი შეანელებს მსოფლიოს დაძაბულობას და მიაღწევს ისეთ შედეგებს, რომლებსაც მოიწონებს მშვიდობის ყველა მეგობარი.

კ ა ნ ა დ ა

ოტავა. ამ დღეებში ტორონტოში გაიმართა მშვიდობის მომხრეთა ხალხმრავალი მიტინგი, კანადის მშვიდობის დაცვის კონგრესის თავმჯდომარემ ენდიკოტმა, რომელიც მიტინგზე გამოვიდა, განაცხადა, რომ კონგრესზე დასასწრებლად ვენას მიემგზავრება 30 კანადელი დელეგატი.

მიტინგის მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს რეზოლუცია, რომელიც წინადადებას აძლევს კანადის მთავრობას მოეწოდოს — დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნას დიდ სახელმწიფოთა კონფერენცია მშვიდობის პაქტის დასადებად, და რომელიც მოითხოვს კორეის ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტას.

1 დეკემბერი. (საკდესი).

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის სამდივნოს ცნობა

ვენა, 30 ნოემბერი. (საკდესი). პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის სამდივნომ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიც ნათქვამია:

1953 წლის იანვარში გაიმართება პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის მე-9 სესია.

საერთაშორისო მოვლენათა განვითარების მსვლელობა, ომის საფრთხის გაძლიერება, კაპიტალისტურ ქვეყნებში, კოლონიებსა და ნახევრადკოლონიებში მშრომელი მასების ცხოვრებისა და შრომის პირობების გაუარესება, მშრომელთა ცხოვრების დონის დაქვეითება კაპიტალისტურ ქვეყნებში საომარი მზადების გაძლიერებასთან დაკავშირებით — ყოველივე ეს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასკომის მომავალ სესიას განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

აღმასკომი ანალიზს გაუკეთებს საერთაშორისო მდგომარეობას და მუშათა კლასისა და მშრომელთა ბრძოლის ხასიათს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის იმ სესიის მომენტიდან, რომელიც 1951 წლის ნოემბერში გაიმართა.

სესიაზე განხილულ იქნება აქტუალური საკითხები, რომლებიც ამჟამად დასახულია მშრომელთა წინაშე ხელფასის გადიდებისათვის, უმუშევრობის წინააღმდეგ, პროფკავშირული უფლებებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლასთან დაკავშირებით.

ფოღიაგის გამოსვლა მიტინგზე რეჯო-ნელ-ემილიაში

რომი, 1 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთმა „უნიტამ“ გამოაქვეყნა ანგარიში რეჯო-ნელ-ემილიაში 29 ნოემბერს გამართულ მიტინგზე ტოლიატის სიტყვის შესახებ. სიტყვის თემა იყო „კონსტიტუცია და პროპორციული საარჩევნო სისტემა თავისუფლების დასაცავად“. მიტინგს დაესწრო 40 ათასი კაცი.

ტოლიატიმ აღნიშნა, რომ ქრისტიან-დემოკრატთა და მთავრობის მიერ წამოყენებულ საარჩევნო რეფორმის პროექტს შეიძლება ეწოდოს მოტყუება, იმიტომ რომ მისი მიზანია უსინდისოდ დამახინჯოს სინამდვილე და მოატყუოს საზოგადოებრივი აზრი. მართლაც ეს კანონ-პროექტი ხელს არ შეუწყობს ისეთი პარლამენტის არჩევას, რომელიც ჩვენი ქვეყნის ნამდვილი ძალების გამომხატველი იყოს, იგი ნავარაუდევია იმისათვის, რომ ჯერ კიდევ არჩევნებამდე უზრუნველყოს დიდი უმრავლესობა იმათთვის, ვინც ამჟამად სათავეში უდგას ხელისუფლებას, და ამრიგად დაარღვიოს თანასწორი საარჩევნო უფლების პრინციპი, რომელიც საჯაროდ ჩაწერილია კონსტიტუციაში.

თუ ქრისტიან დემოკრატთა პარტიისა და მისი მოკავშირე პარტიების გეგმები განხორციელდა, აღნიშნა ტოლიატიმ, მაშინ მათ შეუძლიათ, მიიღებენ რა ხმების 50 პროცენტზე მეტს, უზრუნველყონ თავისთვის მომავალ დეპუტატთა პალატაში ადგილების 64 პროცენტი, მაშინ როცა ოპოზიციის ყველა პარტია, რომლებსაც მისცემენ 50 პროცენტამდე ხმას, ადგილების მხოლოდ 36 პროცენტს მიიღებს. ამრიგად, დეპუტატთა ახალ პალატაში იქნება 385 დეპუტატი, რომელთაგან თვითეულისათვის მაცემული იქნება 35 ათასი ხმა, და 204 დეპუტატი, რომელთაგან თვითეული მიიღებს 65 ათას ხმას. გარდა ამისა, საარჩევნო კანონის ამ პროექტის მიზანია ქრისტიან დემოკრატთა პარტიისათვის უზრუნველყოს აბსოლუტური უმრავლესობა დეპუტატთა ახალ პალატაში, რათა მას არ ესაჭიროებოდეს სოციალ-დემოკრატების, რესპუბლიკელებისა და ლიბერალების მხარდაჭერა.

დასასრულ ტოლიატიმ განაცხადა, რომ კომუნისტური პარტია ბრძოლაში ისახავს უმთავრესად ორ მიზანს: ბოლო მოუღოს მმართველი წრეების კორუპციას და მოსპოს ხალხის ნასვბის სიღატაკე. ამ მიზნების მიღწევის საფუძველზე შეიძლება და საჭიროა არის მიღწეულ იქნას ყველა იტალიელის უაღრესად ფართო გაერთიანება.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის ზრდა

პეკინი, 1 დეკემბერი. (საკდესი). ჩინეთის პრესა იუწყება, რომ იზრდება ჩინეთის კომუნისტური პარტიის წევრთა რიცხვი. გაზეთ „სინხუაეიბაოს“ ცნობებით, უკანასკნელ ხანებში ჩუნცინში კომუნისტურ პარტიაში მიღებულია 3 ათასზე მეტი კაცი.

გუიჯოუს პროვინციაში კომუნისტურ პარტიაში შესასვლელად მოსამზადებელ ჯგუფებში შეცადინეობს 20 ათასამდე ტლეხი. ამა წლის ივლისიდან ამ პროვინციაში პარტიაში მიიღეს 5.190 კაცი.

როგორც 25 ნოემბერს გაზეთმა „ენმინჟიბაომ“ გვაცნობა, სამხრეთ ძიანსუში კომუნისტურ პარტიაში მიღებულია 10 ათასზე მეტი ახალი წევრი. მრავალ სასოფლო რაიონში, ქარხნებსა და ფაბრიკებში შექმნილია ახალი პარტიული ორგანიზაციები.

საფრანგეთის კომუნისტების წარმატება ეროვნული კრების ნაწილობრივ არჩევნებში

პარიზი, 1 დეკემბერი. (საკდესი). ფრანსპრესის სააგენტო რუანიდან იუწყება, თუ რა შედეგით დამთავრდა ქვემო სენის დეპარტამენტში ეროვნული კრების დეპუტატის არჩევნების პირველი ტური. ყველაზე მეტი ხმა — 15.138 — მიიღო კომუნისტური პარტიის კანდიდატმა; დამოუკიდებელმა რესპუბლიკელმა მიიღო 10.121 ხმა, რადიკალ-სოციალისტმა — 9.114.

კავშირის მუდმივად განმტკიცების გარეშე მასებისათვის ყურის დაგდებისა და მათი საჭირბოროტო ინტერესების გაგების გარეშე, მუშათა კლასის პარტია ვერ შეძლებს გაიყოლიოს მშრომელთა მილიონები, დაარწმუნოს ისინი თავისი პოლიტიკის სიმართლეში, დარაზმოს ისინი მათ წინაშე მდგომი გრანდიოზული ამოცანების შესასრულებლად. ლენინ—სტალინის პარტიამ მიაღწია იმას, რომ მშრომელები სრულ ნდობას უცხადებდნენ მის პოლიტიკას, რომელიც ხალხთა მასების სასიცოცხლო ინტერესებს გამოხატავს.

საბჭოთა კავშირის ხალხთა მასები პირადი გამოცდილებით დარწმუნდნენ კომუნისტური პარტიის პოლიტიკის სიწორეში და შეგნებულად მონაწილეობენ ამ პოლიტიკის განხორციელებაში. ეუფლება რა მშრომელთა მილიონიან მასებს, ჩვენი პარტიის პოლიტიკა იქცევა ბუნებისა და საზოგადოების ვარდამქმნელ უდიდეს მატერიალურ ძალად. ამით კიდევ ერთხელ დასტურდება მარქსიზმ-ლენინიზმის დებულება ზედნაშენის აქტიური როლის შესახებ საზოგადოებრივ განვითარებაში. ზედნაშენი მთლიანად და მისი შემადგენელი ელემენტები — სახელმწიფო, პოლიტიკა, იდეები და სხვ. — არა მარტო ასახავენ ბაზისს, არამედ პირიქით, „...რაკი გაჩნდა, ზედნაშენი უდიდესი აქტიური ძალა ხდება, აქტიურად უშუალობს ხელს თავის ბაზისს ჩამოყალიბდეს და განმტკიცდეს, ყოველ ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ დაეხმაროს ახალ წყობილებას ბოლო მოუღოს და მოსპოს ძველი ბაზისი და ძველი კლასები“ (ი. სტალინი. მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, გვ. 5).

ამრიგად, პოლიტიკა, როგორც ზედნაშენის ერთ-ერთი ნაწილი, საბოლოო ანგარიშით ყოველთვის განისაზღვრება ეკონომიკური ბაზისით, იგი, ლენინის გამოთქმით, ეკონომიკის კონცენტრირებულ გამოხატულებას წარმოადგენს, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, თითქოს იგი ბაზისის პასიური შედეგი იყოს, პირიქით, პოლიტიკა მთელ ზედნაშენთან ერთად უკუმოქმედებას ახდენს ეკონომიკურ წყობილებაზე და უდიდეს აქტიურ როლს ასრულებს საზოგადოების განვითარებაში.

განსაკუთრებით დიდია პოლიტიკის როლი პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში. ვ. ი. ლენინმა და ი. ბ. სტალინმა კომუნისტური პარტიის პოლიტიკის განსაზღვრისას დაამუშავეს საკითხი ეკონომიკასა და პოლიტიკას შორის ახალი ურთიერთდამოკიდებულების შესახებ სოციალისტური სახელმწიფოს პირობებში.

მუშათა კლასის დიქტატურის პირობებში ეკონომიკასა და პოლიტიკას შორის ახალი ურთიერთდამოკიდებულება სწორედ იმაში ნდგომარეობს, რომ ძირითადი საწარმოო საშუალებანი თავმოყრილია სოციალისტური სახელმწიფოს ხელში, რომელიც გეგმიანად წარმართავს ეკონომიკის განვითარებას და უზრუნველყოფს სოციალისტური წყობილების განმტკიცებას, უკლასო კომუნისტური საზოგადოების აშენებას. ხოლო სოციალისტური სახელმწიფოს ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალას წარნოადგენს ბრძოლებში გამოწრთობილი კომუნისტური პარტია, რომლის პოლიტიკა განსაზღვრავს საბჭოთა სახელმწიფოს ამოცანებს და რაზმავს მშრომელ მასებს ამ ამოცანების შესასრულებლად.

საბჭოთა საზოგადოების განვითარების ისტორიამ ცხადყო ლენინ—სტალინის პარტიის პოლიტიკის სიძლიერე და ცხოველმყოფელობა. ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით გატარებულ ახალ ეკონომიკურ პოლიტიკას, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პოლიტიკას ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის გარდაქმნის, ძველი ბაზისის, დამხობილი ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციისა და ახალი სოციალისტური ბაზისის განმტკიცების საქმეში.

პარტიის პოლიტიკის განუხრელი გატარებით განხორციელდა ჩვენს ქვეყანაში უდიდესი კულტურული რევოლუცია, ამ პოლიტიკის საფუძველზე შემდგომ ვითარდება სსრ კავშირის ხალხთა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა, აგრეთვე იდეოლოგიის ყველა დარგი: მეცნიერება, ხელოვნება, მორალი და ა. შ.

ჩვენი პარტიის დიდი ბელადები ლენინი და სტალინი ყოველთვის უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საკითხებს. ომისშემდგომ პერიოდში ამხანაგ სტალინის ინიციატივით მიღებული კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილებანი იდეოლოგიურ საკითხებზე მიზნად ისახავენ ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების აღმოფხვრას, მოითხოვენ პარტიულობის პრინციპის გატარებას იდეოლოგიურ მუშაობაში, ზრდიან მასებს ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმისა და საბჭოთა ეროვნული სიამაყის სულისკვეთებით, უიდეობისა და აპოლიტიკურობის წინააღმდეგ ბრძოლის, გარდუნილი ბურჟუაზიული კულტურის წინაშე ქედის მოხრისადმი კომუნისტური შეურიგებლობის სულისკვეთებით.

* * *

ვ. ი. ლენინი გვასწავლის, რომ პოლიტიკა მოიცავს არა მარტო კლასთა შორის ურთიერთობის საკითხებს, არამედ ეროვნებათა შორის და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის საკითხებსაც. კომუნისტური პარტიის პრაქტიკულ მოღვაწეობაში ეს საკითხები თავის გამოხატულებას პოულობენ მის ეროვნულ და საგარეო პოლიტიკაში. ეროვნული პოლიტიკის განხორციელებისას პარტია, როგორც ცნობილია, ხელმძღვანელობს ეროვნული საკითხის შესახებ ლენინ—სტალინის მოძღვრებით; ეს არის სსრ კავშირის ხალხთა ერთიან, ძმურ, მეგობრულ ოჯახად გაერთიანების პოლიტიკა, ეროვნებათა სრული თანასწორობისა და მათი ეროვნულ-სახელმწიფოებრიობის განვითარების პოლიტიკა, აგრეთვე მსოფლიოს ყველა ხალხთა თანასწორობისა და შშვიდობიანი თანამშრომლობის პოლიტიკა, ყოველგვარი ნაციონალური და რასობრივი ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა.

ამხანაგმა სტალინმა მოხსენებაში საბჭოების სრულიად საკავშირო საგანგებო VIII ყრილობაზე განაცხადა: „...ახლა ჩვენ გვაქვს სავსებით ჩამოყალიბებული მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფო, რომელმაც ყოველგვარ განსაცდელს გაუძლო და რომლის სიმტკიცეც შეშურდებოდა რომელიც გნებავთ ეროვნულ სახელმწიფოს ქვეყნიერების რომელიც გნებავთ ნაწილში“ (ლენინიზმის საკითხები, გვ. 645).

საბჭოთა წყობილების პირობებში ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხმა მიიღო და განავითარა თავისი სახელმწიფოებრიობა. მეფის რუსეთის განაპირა მხარეები კოლონიებიდან და ნახევრადკოლონიებიდან გადაიქცნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად — საბჭოთა რესპუბლიკებად, რომლებსაც აქვთ თავიანთი ტერიტორია, ეროვნული ავტონომია, თავიანთი კონსტიტუცია, თავიანთი კანონმდებლობა. „ახლა ჩვენში,— აღნიშნა ამხანაგმა ლ. ბ. ბერიამ პარტიის XIX ყრილობაზე,—აღარ არიან ჩამორჩენილი ხალხები. ჩვენს ქვეყანაში ახალმა სოციალისტურმა ერებმა სოციალისტური მშენებლობის წლებში ძირეულად შეიცვალეს სახე და განვითარდნენ მოწინავე თანამედროვე ერებად“.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა წარმოადგენს საშინაო პოლიტიკის გაგრძელებას და სოციალისტური წყობილების ბუნებით განისაზღვრება. სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის პრინციპები დამუშავებულია ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მიერ.

მთელი მსოფლიოს ორ ბანაკად — იმპერიალისტურ, ანტიდემოკრატიულ და ანტიიმპერიალისტურ, დემოკრატიულ ბანაკად — გაყოფის პირობებში ბრძნული სტალინური საგარეო პოლიტიკის მიზანია უზრუნველყოს მშვიდობისმოყვარე ხალხთა მეგობრული თანამშრომლობა, ამხილოს ამერიკელ-ინგლისელ იმპერიალისტთა აგრესიული პოლიტიკა, ომის გაჩაღებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტის, რბევა-აწიოკების პოლიტიკა, რომელიც მიმართულია მაქსიმალური ეკანალისტური მოგების უზრუნველსაყოფად.

სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკა, რომელიც ყველა ქვეყნის მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებს შეესაბამება, მიზნად ისახავს დაიცვას დიდი და მცირე ერების სუვერენიტეტის პატივისცემის, სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის VII სესია

პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 29 ნოემბერი. (საკდესი). პოლიტიკური კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე გრძელდებოდა კორეაში მყოფი სამხედრო ტყვეების რეპატრიაციის შესახებ ინდოეთის რეზოლუციის პროექტის განხილვა. მაგრამ ყველა ორატორის ყურადღების ცენტრში იყო საბჭოთა შესწორებანი ამ პროექტისადმი.

პირველმა ილაპარაკა ბირმის დელეგატმა, რომელმაც განაცხადა, რომ იგი საბჭოთა შესწორებებისათვის კენჭისყრის დროს თავს შეიკავებს იმ „საფუძველზე", რომ ეს შესწორებანი თითქოს „არ ეგუებიან" ინდოეთის რეზოლუციის პროექტის ტექსტს. ბირმის წარმომადგენელმა აღიარა, რომ მისი დელეგაცია განიცდის „შეშფოთებას იმასთან დაკავშირებით, რაც მოხდა სამხრეთ კორეის სამხედრო ტყვეების ბანაკებში". მან გაილაშქრა იმ „გამოკითხვის" წინააღმდეგ, რასაც ამ ბანაკებში ამერიკის სარდლობა აწყობს.

ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯემალი იძულებული იყო განეცხადებინა, რომ საბჭოთა შესწორებანი „ჩინებულ აზრებს" შეიცავენ. ამტკიცებდა რა, რომ მისი დელეგაცია თითქოს კორეაში ცეცხლის შეწყვეტის მომხრეა, მან ამასთანავე განაცხადა, რომ ცეცხლის შეწყვეტა შეიძლება მხოლოდ დაზავების ხელმოწერის შემდეგ, ესე იგი მას შემდეგ, რაც მიღწეულ იქნება შეთანხმება სამხედრო ტყვეების რეპატრიაციის შესახებ.

ეგვიპტის დელეგატმა, მხარი დაუჭირა რა ინდოეთის რეზოლუციის პროექტს, ამჯობინა საერთოდ არაფერი ეთქვა საბჭოთა შესწორებების შესახებ. სხდომაზე გამოვიდა ინგლისის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრი ლოიდი, რომელიც ვერაფრით ვერ დაეხმარა ამერიკა-ინგლისის ბლოკის წარმომადგენლებს თავი დაეფწიათ იმ მდგომარეობისათვის, რომელშიც ისინი ჩააყენა საბჭოთა წინადადებამ კორეაში სამომარი მოქმედების დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ. ლოიდი ისე აჩვენებდა თავს, თითქოს მისთვის ნათელი არ არის საბჭოთა პოზიცია ეგრეთწოდებული „სამხედრო ტყვეების იძულებითი რეპატრიაციის" საკითხში, თუმცა ეს პოზიცია უაღრესად ზუსტად იყო ჩამოყალიბებული სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურის შინაარსიან სიტყვაში, პოლონეთის, უკრაინის სსრ, ჩეხოსლოვაკიის და ბელორუსიის სსრ წარმომადგენელთა სიტყვებში. ლოიდმა თქვა, რომ მისი დელეგაცია ხმას მისცემს საბჭოთა შესწორებების წინააღმდეგ და ცინიკურად განაცხადა, კორეაში სამომარი მოქმედება არ უნდა შეწყდეს მანამდე, სანამ სამხედრო ტყვეების საკითხი არ გადაწყდებაო. ამით ლოიდმა ცხადყო, რომ ვინც ინდოეთის რეზოლუციის პროექტს ემხრობა, ის არც ფიქრობს კორეაში სამომარი მოქმედების შეწყვეტაზე.

სამხრეთ აფრიკის კავშირის წარმომადგენელმა გაიხსენა, რომ მის მთავრობას საფუძველი ჰქონდა მიზანშეუწონლად მიეჩნია კორეის საკითხის დასმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ფართოდ განხილვისათვის. ამრიგად, ინგლისის ერთ-ერთი დომინიონის წარმომადგენელმა ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ ამერიკა-ინგლისის ბლოკის ხელმძღვანელებს ეშინოდათ კორეის საკითხის განხილვისა და ცდილობდნენ თავი აერიდებინათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამ საკითხის განხილვისათვის. სამხრეთ აფრიკის კავშირის დელეგატი, ისევე როგორც მის შემდეგ გამოსული ბოლივიის, სალვადორის, დომინგოს რესპუბლიკის წარმომადგენელნი, გულმოდგინედ იმეორებდა აჩესონისა და იდენის განცხადებებს, რომ შეუძლებელია კორეაში საომარი მოქმედების შეწყვეტა.

შემდეგ სიტყვა აიღო საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაურმა ა. ი. ვიშინსკიმ, რომლის სიტყვა დამსწრეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს. საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ცხადყო, რომ ინდოეთის რეზოლუციის პროექტის ავტორები და დამცველები, ხედავენ რა მათი წინადადების გარდუვალ ჩაფუშვას, უკვე ახლა ცდილობენ სხვას დააკისრონ პასუხისმგებლობა ამ ჩაფუშვისათვის.

ა. ი. ვიშინსკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ წამოწყებიდან არაფერი არ გამოვა, რადგან მსოფლიო საზოგადოებრივმა აზრმა კარგად იცის, თუ ნამდვილად ვინ არის დამნაშავე კორეის ომში. დამსწრეებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ვიშინსკის სიტყვის იმ ნაწილმა, რომელშიც მან, უპასუხა რა საბჭოთა წინადადებების კრიტიკოსებს, კვლავ განმარტა არსი და მნიშვნელობა ინდოეთის რეზოლუციის პროექტისადმი საბჭოთა შესწორებებისა და განსაკუთრებით კორეაში სამომარი მოქმედების დაუყოვნებლივ შეწყვეტის წინადადებისა. საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ცხადყო, რომ ინდოეთის რეზოლუციის პროექტის მიზანია კორეაში ომის არა შეწყვეტა, არამედ განგრძობა.

შემდეგ გამოვიდა პერუს წარმომადგენელი, რომელმაც კომიტეტის წევრებს მოუწოდა „გაეაქარწყლონ შთაბეჭდილება, რომელიც შეიძლება შექმნას სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურის გამოსვლამ".

უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელ დღეებში ამერიკა-ინგლისის ბლოკის ხელმძღვანელები აშკარად შეშფოთებული არიან ინდოეთის რეზოლუციის და ამ რეზოლუციაში შეტანილი საბჭოთა შესწორებების განხილვის მსვლელობით, ცდილობენ შეკვეცონ კამათი და რაც შეიძლება მალე გადავიდნენ ინდოეთის რეზოლუციის პროექტისათვის კენჭისყრაზე.

გუშინდელი სხდომის დასაწყისში კომიტეტის თავმჯდომარემ — ბრაზილიის წარმომადგენელმა მუნიზმა, გამოხატა რა ამერიკა-ინგლისის ბლოკის მესვეურთა ეს განწყობილება, განაცხადა, რომ იგი დღეს (28 ნოემბერს) დაამთავრებს კამათს ინდოეთის რეზოლუციის პროექტის გამო, რათა ხვალ დილის სხდომაზე გამოსვლის შესაძლებლობა მისცეს ინდოეთის წარმომადგენელს და შემდეგ კენჭი უყაროს ინდოეთის პროექტს.

მას შემდეგ, რაც გამოვიდა საბჭოთა დელეგაციის მეთაური, რომელმაც აღნიშნა ასეთი გადაწყვეტილების უკანონობა, კომიტეტის თავმჯდომარეს დაეინებით აღარ მოუთხოვია ამ გადაწყვეტილების მიღება.

მაგრამ გუშინდელი სხდომის დასასრულს ამერიკა-ინგლისის ბლოკის წარმომადგენლებმა კვლავ სცადეს შეეწყვეტათ კამათი ინდოეთის რეზოლუციის პროექტის გამო და კენჭი ეყარათ ამ პროექტისათვის 29 ნოემბრის დილის სხდომაზე. ინდოეთის წარმომადგენელმა მენონმა განაცხადა, რომ ჯერ კიდევ არ არის მზად უპასუხოს მოსაზრებებსა და შენიშვნებს მისი რეზოლუციის პროექტის გამო და რომ ინდოეთის დელეგაციას დრო ესაჭიროება თავის მთავრობასთან კონსულტაციისათვის. მენონმა ითხოვა გადაედოთ სხდომა 1 დეკემბრისათვის.

ინდონეზიის დელეგაციის მეთაურმა პალარმა მხარი დაუჭირა ინდოეთის დელეგატის თხოვნას და ოფიციალურად შეიტანა წინადადება, რომ შემდეგი სხდომა 1 დეკემბრამდე გადაედოთ.

თურქეთის წარმომადგენელი, რომელიც დიდი ხანია უკვე ცნობილია როგორც ამერიკის დელეგაციის ყველა მითითების მონურად შემსრულებელი, ამ წინადადების წინააღმდეგ გამოვიდა და დაეინებით მოითხოვა, რომ ინდოეთის წარმომადგენელი 29 ნოემბერს დილით გამოსულიყო.

თურქეთის დელეგატის იმ მოთხოვნის წინააღმდეგ, რომ უარეყოთ მენონის თხოვნა, გამოვიდა საბჭოთა დელეგაციის მეთაური ა. ი. ვიშინსკი. მან მტკიცედ დაუჭირა მხარი ინდოეთის დელეგატის თხოვნას და აღნიშნა, რომ პოლიტიკური კომიტეტი მოვალეა ანგარიში გაუწიოს ინდოეთის დელეგაციის განცხადებას იმის შესახებ, რომ იგი მზად არ არის 29 ნოემბრს გამოსვლისათვის და რომ სხვანაირი გადაწყვეტილება დელეგაციათა ელემენტარული უფლებების უხეში დარღვევა იქნებოდა.

ინდონეზიის წინადადება მიღებულ იქნა 27 ხმის უმეტესობით. ამ წინადადებას ხმა მისცეს სსრ კავშირის, პოლონეთის, უკრაინის სსრ, ჩეხოსლოვაკიის, ბელორუსიის სსრ, ინდოეთის, ინდონეზიის, ირანის, ერაყისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების დელეგაციებმა. ამ წინადადებას წინააღმდეგ ხმა მისცა 24 დელეგაციამ, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, სამხრეთ აფრიკის კავშირის, კანადის, ბელგიის, ჰოლანდიის დელეგაციებმა. 7 დელეგაციამ თავი შეიკავა.

დემოკრაციული, მშვიდობისმოყვარე და დამოუკიდებელი იაპონიისათვის

შანხაი, 30 ნოემბერი. (საკდესი). ტოკიოდან მიღებული ცნობებით, იაპონიის პარლამენტის ახლანდელი სესიის მუშაობა მიმდინარეობს იოსიდას მთავრობის ანტიეროვნული პოლიტიკით ხალხის მასების მზარდი უკმაყოფილების პირობებში. ეს გამოიხატება პარლამენტის მთელი რიგი დეპუტატების გამოსვლებით.

შეიტანა რა გუშინ ინტერპელაცია პრემიერ-მინისტრ იოსიდას საპროგრამო სიტყვის გამო, მემარცხენე სოციალისტური პარტიის წარმომადგენელმა სეიიი კაცუმატამ აღნიშნა, რომ ამერიკის ინტერვენციას კორეაში უშუალო და სერიოზული დამოკიდებულება აქვს იაპონიის უშიშროებასთან.

მე, განაცხადა კაცუმატამ, ისე როგორც მთელი იაპონელი ხალხი, მეტად აღშფოთებული ვარ იმით, რომ ორ წელიწადზე მეტი ხნის მანძილზე კორეაში ჩრდილოეთ-სამხრეთ ომი, ხოლო ჩვენს ქვეყანას იყენებენ როგორც ამერიკის ბომბდამშენთა ბაზას. იაპონელი ხალხი მეტად შეშფოთებულია იოსიდას კაბინეტის მოქმედებით, რომელიც ჩვენს ქვეყანას ითრევს ამერიკის შეერთებული შტატების საომარ ოპერაციებში.

მწვავედ გააკრიტიკა რა იოსიდას კაბინეტის ყველა ღონისძიება, კაცუმატამ მოითხოვა, რომ პრემიერ-მინისტრმა იოსიდამ ნათელი პასუხი გასცეს შემდეგზე: წამოაყენეს თუ არა ამერიკის ელჩმა იაპონიაში მერფიმ და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ალისონმა რაიმე მოთხოვნა ხელახლა შეიარაღებისა და გაერთიანებული ერებისათვის მხარდაჭერის შესახებ? აპირებს თუ არა მომავალში იაპონია შევიდეს წყნარი ოკეანის კავშირში? კონკრეტულად რას წარმოადგენს „გაერთიანებული ერებისათვის დროებით მხარდაჭერა"? აპირებს თუ არა პრემიერი თქვას აქ ღღეს, თუ რა ოდენობისა იქნება მხარდაჭერა გაერთიანებული ერებისათვის? შეუძლია თუ არა პრემიერ იოსიდას აქ მტკიცედ დაგვარწმუნოს, რომ ეროვნული უშიშროების კორპუსი არავითარ შემთხვევაში არ გაიგზავნება საზღვარგარეთ, რამდენადაც ეს საკითხი ყველაზე მეტად აღელვებს იაპონელ ხალხს? შესაძლებლად მიიჩნია თუ არა პრემიერი ახლანდელი კონსტიტუციის თვალსაზრისით უცხოეთში გაიგზავნოს ეროვნული უშიშროების კორპუსი, რათა დახმარება გაუწიოს გაერთიანებული ერების ჯარებს?

კაცუმატამ გააღაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ პენსიები აღუდგინონ ყოფილ სამხედრო მოსამსახურეებს და მთავრობის ეს ნაბიჯი დაახასიათა როგორც ერთ-ერთი ღონისძიება, რომელიც დაკავშირებულია იაპონიის დაჩქარებულ რემილიტარიზაციასთან.

მემარჯვენე სოციალისტმა ნისიმურამ მთავრობას მოსთხოვა გადასინჯოს და შეცვალოს ყველა საერთაშორისო შეთანხმება, „რომლებიც ამჟამად ზღუდავენ იაპონიის სუვერენიტეტს და ბოჭავენ მის თავისუფლებას", კერძოდ, გადასინჯოს ამერიკა-იაპონიის ადმინისტრაციული შეთანხმება.

პარლამენტის ქვედა პალატის პლენარულ სხდომაზე გამოსულმა მუშათა და გლეხთა პარტიის წარმომადგენელმა ხისაო კუროდამ განაცხადა: „ჩვენი ქვეყანა სეროზულ დახმარებას უწევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარებს კორეის ომში, მათ აძლევს სამხედრო ბაზებს და უწევს მომსახურებას.

ბოლო დროს აღიძრა საკითხი კორეაში ეროვნული უშიშროების კორპუსის გაგზავნის შესახებ. მე მგონია, რომ შექმნილ ვითარებაში მთავრობა ვალდებულია ნათლად უჩვენოს ხალხს, თუ რა დამოკიდებულება აქვს ჩვენს ქვეყანას კორეის ომთან და როგორია მთავრობის პასუხისმგებლობა ამ საკითხში.

იაპონიის ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები იაპონიის პარლამენტში მოითხოვენ ამერიკა-იაპონიის შეთანხმებათა გაუქმებას

○

როგორ ეკონომიკური და პოლიტიკური აგრესია, რომლის მიზანია ჩვენი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისათვის ძირის გამოთხრა. უკანასკნელი გადაწყვეტილება... იმის მაგალითია, თუ როგორ ემორჩილება კანადა ამერიკელთა გეგმებს, რომლებსაც ზურგს უმაგრებენ ინკენის სამხედრო ძალები".

ეროვნული აღმასრულებელი კომიტეტი, აღნიშნავს რა, რომ მთავრობა აშკარად შეშფოთებულია კანადელთა რეაქციით ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ ეროვნული ინტერესების გამცემლობის პოლიტიკისადმი სახალხო ოპოზიციის გაძლიერებასთან დაკავშირებით, მოუწოდებს ყველა კანადელ პატრიოტს აღმიაღლოს პროტესტის ხმა და მოუწოდოს პარლამენტს „აკლავ დაადასტროს კანადის სუვერენიტეტი, მოითხოვოს, რომ ამერიკის ყველა ესკადრილია გაყვანილ იქნას კანადის ტერიტორიიდან".

ჩეხოსლოვაკიაში დაეპატიმრეს ჯაშუშური ორგანიზაციის წევრები

ვარშავა, 1 დეკემბერი. (საკდესი). როგორც იუწყებიან, მიმდინარე წლის ნოემბრის შუა რიცხვებში საზოგადოებრივი უშიშროების ორგანოებმა კრაკოვის სავოევოდოს ტერიტორიაზე აღმოაჩინეს და მოსპეს ჯაშუშური ორგანიზაცია, რომელიც უცხოეთის სადაზვერვო ცენტრის მითითებებით მოქმედებდა.

დაპატიმრებულებს აღმოუჩინეს ინსტრუქციები და დაზვერვის მასალები. ორგანიზაციის დანაშაულებრივ საქმიანობას ადვილებდა ის გარემობა, რომ მისი ხელმძღვანელობის ზოგიერთი წევრნი იყვნენ რა კათოლიკე მღვდლები და მაღალი პოსტები ეკავათ რა კრაკოვის საარქიეპისკოპოსო კურიაში, თავიანთ მდგომარეობას იყენებდნენ ჯაშუშური საქმიანობისა და პოლიტიკური დივერსიისათვის, რაც მიმართული იყო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ.

კრაკოვის კურიის შენობაში აღმოჩენილია არქივი და სხვადასხვა სამალავ ადგილებში 35.700 ამერიკული დოლარი, 5 კილოგრამამდე ოქროს ფული და დიდი რაოდენობით სხვა ვალუტა.

საარქიეპისკოპოსო კურიის სარდაფები, როგორც გამოირკვა, ის ადგილი იყო, სადაც ხელისუფლების ორგანოებს უმალავდნენ ხელოვნების ნაწარმოებთ და ძვირფას ნივთებს, რომლებიც წინათ ეკუთვნოდა საზღვარგარეთ გაქცეულ გრაფებს, მაგნატებსა და მეშამულეებს.

უშიშროების ორგანოების მიერ დაპატიმრებულთა შორის არიან კურიის ნოტარიუსები კსენძები ვიტ ვეიცკი და ან პოშოპენი, კურიის კანცლერი კსენძი ბოლესლავ პშიბაშევსკი და კსენძები იუზეფ ლელიტო და შიმონეკი.

რუმინეთის დიდი ეროვნული კრების არჩევნები

ბუქარესტი, 1 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ რუმინეთში მიმდინარეობდა დიდი ეროვნული კრების დეპუტატთა არჩევნები.

გათენებამდე დიდი ხნით ადრე გაიღვიძა რუმინეთის დედაქალაქმა. მშრომელები ჯგუფ-ჯგუფად და ცალ-ცალკე მიდიოდნენ საარჩევნო უბნებში, რათა პირველებს მიეცათ ხმა ხალხის საუკეთესო შვილებისათვის — პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების, წარმოების მოწინავეების, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლებისათვის.

ათ საარჩევნო ოლქი „ტრივეიკა როშიე", სადაც კენჭს იყრის რუმინელი ხალხის ბელადი გ. გეორგიუ-დეეი. დილის ექვსი საათისათვის № 8 საარჩევნო უბანთან თავი მოიყარა რკინიგზის სახელოსნოების დაახლოებით 200 მშრომელმა. ისინი მოვიდნენ დროშებით, ამხანაგ ი. ბ. სტალინის პორტრეტებით. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, მიუღოცა რა დამსწრეთ საყოველთაო-სახალხო დღესასწაული, გამოაცხადა კენჭისყრის დაწყება.

ზედიზედ უშვებენ ყუთში ბიულეტენებს სტახანოველები, წარმოების მოწინავეები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, მოსამსახურეები და დიასახლისები. პენსიონერმა ელენე პაულესკუმ, რომელიც 28 წელს მუშაობდა „გრივიცა როშიეს" რკინიგზის სახელოსნოებში, ჩაუშვა რა ბიულეტენი ყუთში, თქვა: „გაუმარჯოს გეორგიუ-დეეს! მადლობას ვუძღვნით ჩვენს მხსნელს ამხანაგ სტალინს".

ამის შემდეგ ხმა მისცეს სახელოსნოების სტახანოველებმა იოან დუმიტრესკუმ და მიხეილ კამბურომმა. მათ, ისევე როგორც „გრივიცა როშიეს" რკინიგზის სახელოსნოების წარმოების ბევრმა სხვა სტახანოველმა და მოწინავემ, საარჩევნო სპატიო ვახტის დღეებში გამოიმუშავეს ორ-ორი ნორმა და შეუდგნენ პროდუქციის გამოშვებას 1953-1954 წლების ანგარიშში.

სახალხო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნებმა უდიდესი ენთუზიაზმით ჩაიარა რუმინეთის ყველა ქალაქსა და სოფელში.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 1 დეკემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 1 დეკემბერს გამოაქვეყნა ცნობა:

კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა შენაერთები განვლილი დღის განმავლობაში თავდაცვითს ბრძოლებს ეწეოდნენ ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლინმანელთა ჯარების წინააღმდეგ წინანდელ ზღუდეებზე.

სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავთა გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 5 და დაზიანეს 4 თვითმფრინავი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ზურგის დასახლებულ რაიონებზე თავდასხმებში.

ამერიკელი ხელისუფლები მოითხოვენ საზარბაზნე ხორცის მიწოდებას

ჰაგა, 29 ნოემბერი. (საკდესი). როგორც გამოირკვა, ამერიკელმა ხელისუფლებმა ჰოლანდიის მთავრობას მოსთხოვეს ჯარების ახალი კონტინგენტები გაგზავნოს კორეის ფრონტზე.

როგორც „ნიუ ჰაგშე კურანტი" იუწყება, ამა წლის 1 დეკემბერს კორეაში მყოფი ჰოლანდიელთა ბატალიონის შესავსებად იგზავნება 160 კაცი, იქედან 5 ოფიცერი, 20 უნტერ-ოფიცერი და 135 ჯარისკაცი.

ვიეტნამის სახალხო არმიის გამარჯვება

ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლის განცხადება

პეკინი, 30 ნოემბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტო იმოწმებს ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტოს და გადმოგვცემს: ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლობის წარმომადგენელმა პრესის წარმომადგენლებს აცნობა, რომ 40 დღის ბრძოლებში, რაც 23 ნოემბერს დამთავრდა, ვიეტნამის სახალხო არმიამ მარტო ჩრდილოეთ ვიეტნამის ფრონტებზე მოსპო მტრის 8.500 ჯარისკაცი და ოფიცერი.

დაახასიათა რა სამარა ვითარება ჩრდილოეთ ვიეტნამში და უკანასკნელ პერიოდში ვიეტნამის სახალხო არმიის გამარჯვებათა შედეგები, წარმომადგენელმა დაასახელა სამი მნიშვნელოვანი მომენტი:

1. ვიეტნამის სახალხო არმიის ნაწილებმა გადალახეს შავი მდინარე, გაარღვიეს მტრის თავდაცვის ხაზი ამ მდინარის მარჯვენა ნაპირზე, გაათავისუფლეს ქალაქი სონ-ლა, რომელიც 200 კილომეტრ და მეტ მანძილზე მდებარეობს ხანოის ჩრდილო-დასავლეთით, და თითქმის მთელი სონ-დას პროვინცია, აგრეთვე ლაიჩაუს პროვინციის სამი რაიონი;

2. მტერმა იერიში მოიტანა ფუ-ტოს წინააღმდეგ, რათა გადაეკრა ვიეტნამის არმიის მარაგების ხაზი და გადაერჩინა თავისი თავდაცვის ხაზი შავი მდინარის მარჯვენა ნაპირზე, მაგრამ ეს ვერ მოახერხა და დიდი ზარალი ნახა;

3. ვიეტნამის სახალხო არმიის ნაწილებმა ისეთ ხელშეკრულებათა დადება, რომელთა მიზანია ჩვენი ქვეყნის ჩაბმა ომში, განაგრძო კუროდამ, კონსტიტუციის სერიოზული დარღვევა და ხალხის ღალატია".

ილაპარაკა რა შემდეგ იაპონიის ხელახალი შეიარაღების საკითხზე, კუროდამ თქვა: „როგორც ცნობილია, უშიშროების კორპუსი და საზღვაო უშიშროების სამმართველო მუდამ ძლიერდებიან და უკვე შეიარაღებული არიან ფრეგატებით, ტანკებით და თვითმფრინავებით. მე მგონია, რომ ახლა უკვე შეიძლება ლაპარაკი ამ სისტემის აგრესიულ ხასიათზე.

ამერიკის პოლიტიკა იაპონიის მიმართ არის იაპონიის მილიტარიზაცია, მისი სამხედრო მრეწველობისა და ადამიანთა რესურსების გამოყენება".

აღნიშნა რა, რომ ეროვნული უშიშროების კორპუსს ხელმძღვანელობენ ამერიკელი მრჩევლები, კუროდამ განაგრძო: „ყველაზე, სადაც კი შეიძლება, არსებობს სამხედრო ბაზები და დაბანაკებული არიან ამერიკის ჯარები. შეიძლება თუ არა ასეთ პირობებში შექმნილ უშიშროების კორპუსს დამოუკიდებელი იაპონიის ფორმირება ვუწოდოთ? მე მგონია, რომ იგი შეიძლება მიჩნეულ იქნას დაქირავებულ ჯარისკაცთა შენაერთად, რომლებიც მოქმედებენ ამერიკის პოლიტიკის თანახმად და ამერიკის არმიის ნების მიხედვით".

განაცხადა რა, რომ წყნარი ოკეანის პაქტი იაპონიას ომში ჩაითრევს, კუროდამ მოუწოდა დაამყარონ კონტაქტი და თანამშრომლობა მშვიდობის ძალებთან, შეწყვიტონ ხელახალი შეიარაღება და შეიარაღებისათვის განკუთვნილი სახსრები გამოიყენონ მშვიდობიანი მშენებლობის საჭიროებისათვის, ხალხის ცხოვრების სტაბილიზაციისათვის. „ასეთია,—განაცხადა დასასრულ კუროდამ,—აზიის ხალხებთან მეგობრული ურთიერთობის აღდგენის ერთადერთი გზა, რომელიც უზრუნველყოფს მშვიდობას მთელ მსოფლიოში, ჩვენი ქვეყნის უშიშროებასა და აყვავებას".

ინდონეზიელ ეროვნული კრების არჩევნები

ჯაკარტა, 1 დეკემბერი. (საკდესი). ინდონეზიელ ეროვნული კრების არჩევნებზე ამ ბოლო ხანებში ინდონეზიელ ეროვნულ ბურჟუაზიასა და ეროვნულ ბურჟუაზიასთან ერთად ეროვნული ბურჟუაზიის ინტერესებს ეროვნული ბურჟუაზიის ინტერესებს ეროვნული ბურჟუაზიის ინტერესებს